საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 ივნისი, 2015 წელი.

№99 (7744)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ძაღლი შინ არ ვარგოდა...

ერთი სატელევიზიო რეკლამა მაგონდება: ჭია თუ მუხლუხი წელათრეული მიხოხავს-მიიკლაკნება, საცოდავი სანახავია. მაგრამ მიაღწევს რაღაც წერტილს და ძლევამოსილად წამოიმართება მაჟორული მუსიკის თანხლებით.

ჩვენს მიშას მაგონებს ის ჭია.

იხოხა, ივაგლახა და ეს მერამდენედ მიაღწია თეთრ ხაზს.

მას შემდეგ, რაც აქედან დაახვევინეს, ჯერ უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ახლა უკვე ოდესის გუბერნატორია.

ახ, ოდესა, ჟემჩუჟინა უ მორია...

ეს მასზეა ნათქვამი, კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერიებდაო.

ან: ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო.

© მეტამორფოზები

ქართველებს სწორედ რომ იღბლად დაგვყვა, როცა ჩვენ თვითონ გვიჭირს, სხვის გადასარჩენად გამოვიდოთ თავი.

პეტრე ბაგრატიონი,

იოსებ სტალინი...

ახლა მიშა!

ვის ჰყავს მიშა ჩვენისთანა!

რამდენჯერაც დაეცა, იმდენჯერ აღდგა „ვანკავსტანკასავით“.

პრეზიდენტი – რეფორმატორი:

მან ამირანივით დალეწა დრომოჭმული ყოფის ხუნდები, ისროლა დევიზი – „ორმოცი წლისა ხეც არ გვინდა ეზოში“ და ნათელი მომავლისკენ მსრბოლი ნაციონალური ხიმალდიდან ჩარეცხა მეცნიერები, ხელოვნები, საინჟინრო-ტექნიკური დარგის ინტელიგენცია და ნეხვზე მყრალა ბალახივით ააბიბინა ქართველობისა და სინდის-ნამუსისგან საიმედოდ დაცლილი უცხოეთმოვლილი თინეიჯერები...

პრეზიდენტი – მხედართმთავარი:

მან სამშობლოს მედგარი ბრძოლით დაუბრუნა უიმედოდ დაკარგული აჭარა. უშიშრად ეკვეთა ცხინვალს და იქიდან ოტებულმა გორში ცხვირით მოხნა ასფალტი, მაგრამ ეყო ძალა, დამარცხება გამარჯვებად წარმოეჩინა და ათიათასობით ადამიანს სულ „ვაშა“ აძახებინა.

პრეზიდენტი – აღმაშენებელი:

რამდენი ცადაწვდილი არქიტექტურული რებუსი შემატა ქვეყანას, რომელთა ფუნქცია-დანიშნულება ჯერაც ვერ დადგენილა. რამდენი „ვირის ხიდი“ და „გულივერის ჩექმები“ მოაბნია სამშობლოში და მტერ-მოყვარეს ერთიანად აუბა თვალი. რამდენი საორხელო და დაუსრულებელი საქმე...

პრეზიდენტი – ხვადი:

რამდენი შინაური და რამდენი გარეული სოფო, ალინა, ქსენია... რამდენი მოჭმული ძუძუ და წივილ-კივილი აუზში, პრეზიდენტის რეზიდენციაში თუ საბანკეტო დარბაზში...

პრეზიდენტი – დიდი და მაღალი:

მან ყველა კოლეგისგან განსხვავებით უარი თქვა პრესაზე, ის არ კითხულობდა გაზეთებს.

არადა, პრესას უპრეზიდენტოდ ცხოვრება შეუძლია, პრეზიდენტს კი უმისოდ ფონს გასვლა გაუჭირდება. პრესის გარეშე ლიდერი დაბორკილი ცხენივითაა – ვერ გაჭენდება. პრესა კამერტონია, რომლითაც პრეზიდენტი და მისი აპარატი განსაზღვრავენ საზოგადოების განწყობას და შეშფოთებას.

ამერიკის პრეზიდენტს დილის 7 საათზე, სამუშაო დღის დაწყებისთანავე, 20-გვერდიან(!) პრესის „დაიჯესტს“ წარუდგენენ. „დაიჯესტი“ მეორდება თორმეტის ნახევარზე, სამზე და ექვსის ნახევარზე. გვიან საღამოს კი უმზადებენ ცნობას, სადაც შეჯამებულია მიწურული დღის 6-7 უკანასკნელი უმნიშვნელოვანესი მონაცემი. და ყველაფერ ამას პრეზიდენტი, თავისი უაღრესად დიდი დატვირთვის მიუხედავად, კითხულობს...

აი, ამერიკის პრეზიდენტის მეგობარი საქართველოს პრეზიდენტი კი თავისი ქვეყნის პრესას არ კითხულობდა, თვით „დაიჯესტის“ სახითაც კი.

ეს რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილ, ვთქვათ რუსულ გაზეთებს დაეწერათ, თავს გავიგიჟებდით, ეს საზიზღრები რას აბოლებენო, მაგრამ მიხეილ ლაღმა თვითონ განაცხადა 2005 წლის 28 დეკემბერს ბიზნესლანჩზე: „მე ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობ“.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტობიდან დავიქნიეთ, მიშა მსოფლიოს გაენთო და იქიდან დაუმიზნა დაკარგულ ტახტს. თან თავის პარტიას, ნაციონალურ მოძრაობას სისხლი აყნოსვინა და საქართველოს შეუსია, თვითონ კი გაძვრა-გამოძვრა და საბოლოოდ უკრაინაში დამკვიდრდა, პრეზიდენტ პოროშენკოს გულზე მოეჭიდა საეჭვო რეფორმატორობით და მისი ოფიციალური მრჩეველი გახდა, თან უკრაინის მმართველობაში თავისი შხამიანი დესანტი განაბნია. უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის სტატუსით ხან ვაშინგტონში იყო ვიზიტად და ხან – სად. თან მაინცდამაინც იქ გამოჰყოფდა თავს, სადაც ოფიციალური თბილისის წარგზავნილები უნდა ყოფილიყვნენ. აცინა და ახითხითა ხალხი ამ „ორმაგი“ ქართული წარმომადგენლობებით.

ერთი სიტყვით, ბევრს ეცადა და „ოცნების“ ხელისუფალთ გარკვეულად შეურყია კიდეც რეიტინგი. თუმცა, ბოლოს დარწმუნდა, რომ „ოცნების“ რეიტინგის დაწევა, სულაც არ ნიშნავდა ნაციონალების რეიტინგის აწევას.

იხ. 2 გვ.

აიათოლა რუჰოლა ხომეინი – მსოფლიო ისტორიის გამორჩეული პიროვნება



5

პეტრე მამრაძე: მათ ველარ გაიგეს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ სააკაშვილთან, რომელიც იძირება

3

შენ ანგალიც არა ხარ, ვანიჩკა, ჟურნალისტი – მით უფრო!..



4

პოროშენკო რუსეთის სააკაშვილით აშანტაჟებს!

2

ეფექტური ბიზნესი

◎ მეტამორფოზები

ძალლი შინ არ ვარგოდაო...

(პირველი გვერდიდან) ახლახან მამალი ნაციონალები: ჯაფარიძე-კუბლაშვილი-ხაჩიძე-მელაძე გააბრაგდნენ. ამ ოთხეულის „განთესვის“ ჭეშმარიტი მიზეზი ჯერჯერობით მთლად გარკვეული არ არის, ორი რამ კი დანამდვილებით სავარაუდებელია: პირველი: მიხვდნენ, რომ ნაცების გემი იძირება და ვირთხებივით პირველებმა მოუსვეს; მეორე: ჩაფიქრებულია რაღაც მიშურ-მაღვალაკური დივერსია.

ყოველ შემთხვევაში მათი განდგომა და მიშას საგუბერნატორო გზაზე შედგომა საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს.

მაშ ასე: საქართველოს ყოფილი, მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად დაინიშნა. მან სასწრაფოდ მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, უკრაინული საყელომოქარგული პერანგი ჩაიცვა და მთელი საღამო იქაურ ლამაზმანებთან ჩახუტებული იღებდა ფოტოებს.

ის მეორე ქართველია რუსეთის იმპერიის სამხრეთის მმართველთაგან ბოლო 100 წლის მანძილზე.

პირველი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი ივანე დუმბაძე გახლდათ. ოღონდ ის ოდესის მეზობელი იალტის გრადონაჩალნიკი გახლდათ, ფაქტობრივად, მთელი ყირიმის გამგებელი.

სისასტიკით ცნობილი გენერალი დუმბაძე (1851-1916) წარმოშობით გურული იყო — ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედიდან. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და თბილისის იუნკერთა სასწავლებელი, სამსახური პრაპორშჩიკის ჩინით დაიწყო. საოცარია, ეს უკიდურესი რეაქციონერი სიჭაბუკეში... ქართველი ნაციონალისტი იყო.

მას უკანასკნელი მეფის ყველაზე სისხლიან ოპრიჩნიკად მიიჩნევდნენ რუსი დემოკრატები. „დუმბაზიაში“, როგორც ყირიმს ნათლავდნენ ლიბერალური გაზეთები, იმპერიის ისედაც ფრთებშეკვეცილი კანონებიც კი არ მოქმედებდა: მოქალაქეთა სიცოცხლე მთლიანად ამ უერთგულესი მსახურის ქეიფზე ეკიდა. მისი სამართალი უწყალო და სწრაფი იყო. როცა 1907 წელს ესერებმა დუმბაძეზე წარუმატებელი თავდასხმა მოაწყვეს, გენერალმა ბადრაგს უბრძანა, ალყა შემოერტყათ სახლისთვის, საიდანაც ბომბი ესროლეს და შიგმყოფებიანად დაეწვათ.

ი. დუმბაძის მოღვაწეობამ ისეთი სკანდალური ხასიათი მიიღო, რომ თვით უქვეშევრდომლესი ოქტიაბრისტებიც კი იძულებული გახდნენ, მის შესახებ კითხვა დაესვათ სახელმწიფო სათათბიროში. ძველ სალდაფონს მიეთ-მოეთი და თავის დაძვრენა არ დაუწყია. სათათბიროში წარდგენილ ახსნა-განმარტებაში წარბშეუხრელად დაადასტურა მისდამი წაყენებული ყველა ფაქტის სისწორე და ისიც დაუმატა: „საჭიროდ არ ვთვლი ველოლიავო ლიბერალებსა და მემარცხენეებსო“.

ივანეს სამსახურებრივი გულმოდგინება და უსიტყვო შემსრულებლობა ხიბლავდა ნიკოლოზ II-ს და 1912 წელს თავის ამალაში ჩარიცხა. საგანგებოდ მისთვის საკანონმდებლო გზით დააწესა სპეციალური პოსტი ქალაქ იალტის გრადონაჩალნიკისა. ისე კი ხელიდან ხელში გადადიოდა ცნობილი ჟურნალისტის ვ. გილიარევსკის ეპიგრამა:

„У Черного моря урядник стоит,
А Черное море шумит и шумит,
И злоба урядника гложет,
Что ропот унять он не может“.

(„შავ ზღვასთან ურიადნიკი დგას, შავი ზღვა კი ხმაურობს და ხმაურობს და ურიადნიკს ბოღმა ახრჩობს, რომ ამ ხმაურის ჩახშობა არ ძალუძს“).

„ოდესელი“ სააკაშვილის საუკუნის წინანდელი იალტელი მეზობელი ასე ვრცლად იმიტომ, გავიხსენე, რომ ძვირფასმა მიშამ, თუ მის ხასიათსა და განვლილ საპრეზიდენტო გზას (7 ნოემბერი, 26 მაისი, გადატენილი ციხეები) გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რომ დუმბაძეზე არანაკლებად ოდიოზურად გაადგრძელოს მართვა და სულ მოგვჭრას თავი.

სააკაშვილის გაოდესელებას საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არ მოჰყოლია. ძირითადად აზრი ასეთია: მან საბოლოოდ მოიკვეთა საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელების შესაძლებლობა.

თვითონ თავის ამ ნაბიჯს ასე ხსნის: მოქმედების არეალი მჭირდებაო.

სხვათა შორის, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მედვედევმა პრეზიდენტ პოროშენკოს გემოვნება დაუწუნა.

მ. სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობის მიღებით ავტომატურად დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა. ერთადერთი გზა რჩება: მოქალაქეობა პრეზიდენტ მარგველაშვილს სთხოვოს. ნაცებმა მორცხვად წამოიკნავლეს: ეს პრეზიდენტ მარგველაშვილის „კეთილ ნებაზეა დამოკიდებულიო“. არადა, ბატონმა გიორგიმ უკვე შეაფასა სააკაშვილის ქმედება: ამ ნაბიჯით მან შეურაცხყოფა მიაყენა ჩვენს ქვეყანას, პრეზიდენტის ინსტიტუტსო.

რამდენად და რამდენ ხანს უცვლელი და მტკიცე იქნება პრეზიდენტ მარგველაშვილის ეს აზრი, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ხილულ მომავალში მიშას ადგილი თავის სამშობლოში ერთობ ბუნდოვანია.

ბუნდოვანია ნაციონალთა ხვალინდელი დღეც. მწვავედ დგება პარტიის ლიდერის შეცვლის საჭიროება. აშკარაა, მორიელების ბუდეში დიდი ფუთფუთი და ფაციფუცი უკვე დაწყებულია.

ალეკო ასლანიშვილი

◎ საერთაშორისო გაუგებრობა

პოროშენკო რუსეთს სააკაშვილით აშანტაჟებს!

... ეტყობა, უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ისეთივე თვითმარქვია და მატყუარაა, როგორც მიხეილ სააკაშვილი. ყველა ხვდებოდა, რომ მას პოლიტიკის დიდი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ამოდენა ქვეყნის შავი შოკოლადივით ჩასაკბეჩ პრეზიდენტს ელემენტარული თავმოყვარეობაც არ გააჩნდა: მრავალსისხლის სამართლის დანაშაულში მხილებულ და ოფიციალურად ბრალდებულ პირს, ძებნილს, ქვეყნიდან გაქცეულს, საქართველოს მოღალატეს — ძირძველი ქართული მიწების, აფხაზეთის და სამაჩაბლოს გაუმაძღარი გველეშაპისთვის ჩამბარებელს, ათასობით თანამოქალაქის გამნადგურებელს, ინტელიგენციის სულში ჩამფურთხებელს, მემორიალებისა და ისტორიული ძეგლების დამანგრეველს, უმადურსა და ამბიციურს, მორალურად გახრწნილსა და მოძალადეს ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნავდა.

გასაგებია, რომ დასავლეთიდან ზეწოლა-მუქარა იყო, მაგრამ ის არ უნდა იცოდეს ამოდენა სახელმწიფოს შავი შოკოლადივით გასალოღნმა თავკაცმა, რომ ის ამერიკელ მაკკეინებსა და ევროპის სახალხო პარტიაში თავმოყრილ მიშას ნაცისტ ლობისტებს დარწმუნებით უთხრას — ქართველი ხალხის უმრავლესობისგან გარიყულ სისხლის სამართლის დამნაშავეს, „საერთაშორისო საკითხებში ჩემს შტატგარეშე მრჩეველს“ მე გუბერნატორად ვერ დავნიშნავო?!

ჩავთვალოთ, რომ საქართველო, მიშასთან 25 წლის წინათ დაწყებული „მეგობრობის“ ხათრით, ფეხებზე ჰკიდია, პატარა ქვეყანაა, მცირერიცხოვანი ხალხია, გინდ ყოფილან, გინდ არაო, მაგრამ რუსეთის მაინც არ ეშინია? შეურაცხადი სააკაშვილის წითელი პერანგი მაინცდამაინც რუსული ცნობიერებით გამორჩეულ ოდესის ოლქში, (ორმილიონნახევარი მოსახლეობით და 32 000-ზე მეტი კვ.კილომეტრიანი ფართობით) რომ აუფრიალა უკრაინისა და საქართველოს დამაქცევარ პუტინს?

მიშა დიდი რეფორმატორია და შეუძლებელს შეძლებსო, ოდესელები რომ უტიფრად მოატყუა, სად ნახა მისი გატარებული დიდი რეფორმები? — საქართველოში თუ კიევში? სხვათა ბიზნესის ძარცვა-დაყაჩაღებით გამდიდრებული კაცის რეფორმატორობა სად გაგონილა? უზრდელი და ავყია კაცის აშენებული ქვეყანა სად გაგონილა? რატომ არ ჰკითხა „მეგობარ“ ქართველ ხალხს, თუ რას ნიშნავს მისთვის 2008 წლის აგვისტოს ომი, 7 ნოემბერი, 26 მაისი, ქუჩაში გამოყრილი ათასობით ჟურნალისტი, დარბეული ტელეკომპანია „იმედი“, უდანაშაულო პატიმრებით გადავსებული ციხეები და სხვა ათასი მიშისტური სისაძაგლე...

ქართველი ხალხი გიჟ და დაუნდობელ „ფიურერას“ ეძახის ცოდვილ სააკაშვილს. ასეთი კაცი ააყვავებს ოდესას?

ერთობ საინტერესოა, რომელი ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსის თავში მოიხარშა ეს იდიოტური დიპლომატიური ნაბიჯი?!

საწყალი უკრაინა! უბედური საქართველო! ახი არ იქნება ახლა, გონებით მუდამ განუსჯელმა რუსეთმა, სასტიკად დასაჯოს ამხანაგი პოროშენკო, ამ სულელური გადაწყვეტილებისთვის?!

თქვენმა მზემ, დასავლეთი სანქციებით დააჩოქებს რუსეთს!..

უძახეთ მერე აგრესორი და დამპყრობელი!...

სპარტაკ ქოგულია

◎ ღირს დაფიქრებად

სააკაშვილს აქვს მდარე, უპატივცემული დამოკიდებულება ყველაზე საამაყო და საპატიო სტატუსის მიმართ

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას შეფასებით, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიმართ საკუთარი უპატივცემულობა დაადასტურა.

„თუ რას ნიშნავს მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა, თავად თქვა, როცა განაცხადა, რომ ეს დღეს მისთვის არის 6 კვადრატული მეტრის ფართი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მას აქვს ძალიან მდარე, უპატივცემული დამოკიდებულება ყველაზე საამაყო და საპატიო სტატუსის მიმართ, რაც არის საქართველოს მოქალაქობა. გულწრფელად გითხრათ, მისი გადაწყვეტილება არც გამკვირვებია. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით თავად სახელწიფო უწყებები, ამას დაველოდებით“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნის გამო, უკრაინასთან ურთიერთობის დაძაბვა წარმოუდგენელია

საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის დავით კერესელიძის განცხადებით, ოდესის გუბერნატორად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დანიშვნის გამო, უკრაინასთან ურთიერთობის დაძაბვა ან გაფუჭება წარმოუდგენელია.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა აღნიშნა, ეს არის უკრაინის ხელისუფლების სუვერენული გადაწყვეტილება და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაგრძელდება. „უკრაინა დღეს მძიმე მდგომარეობაშია. უკრაინა არის ომის ვითარებაში, უკრაინას სჭირდება განვითარება, გვერდში დგომა, მხარდაჭერა და საქართველო, მისი ხელისუფლება, მისი ნებისმიერი შტო მზადაა, ყოველთვის მათ გვერდზე დაუდგეს. ეს არის ჩვენი პასუხი“, — განაცხადა კერესელიძემ.

მიშას სხვა ჩანაფიქრიც ჰქონია

საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თქმით, მას უკრაინის პრემიერობის ამბიციები არ გააჩნია და მომავალში საქართველოში დაბრუნებას გეგმავს. ამის შესახებ „ლიგა.ნეტი“ იტყობინება. მას შემდეგ რაც სააკაშვილმა ოდესის გუბერნატორის პოსტი დაიკავა, უკრაინულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ექსპრეზიდენტის პოლიტიკური ამბიციების შესახებ. უკრაინულ მედიაში გამოთქმული ერთ-ერთი ვერსიით, სააკაშვილი უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებას შეეცდება.

ინტერპრესი

◎ ვითარება

მათ ვეღარ გაიგეს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ სააკაშვილთან, რომელიც იძირება

„მართვის სტრატეგიული ცენტრის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე „რეპორტიორს“ ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ განხეთქილებასა და მის გამომწვევ მიზეზებზე ესაუბრა:

— არა მგონია, ამ ოთხეულის ნაციონალებიდან წამოსვლა პოლიტიკური ფანდი იყოს. ეს რომ გაეკეთებინათ 2013წელს, როდესაც ასე ფართოდ გავრცელდა წამების ამსახველი მასალა, მაშინ შესაძლოა, პოლიტიკურ ფანდად აღგვექვა. ეს ჯგუფი რომ გამოსულიყო კრიტიკით და ეთქვათ, რომ გმობდნენ აღნიშნულ ფაქტს და მოეთხოვათ სააკაშვილისა და ძველი სახეების გადადგომა, ეს იქნებოდა პოლიტიკური ფანდი. მაგრამ სააკაშვილმა ეს ვერ დაუშვა, რომ თავისივე თანაგუნდელებისგან კრიტიკა მოესმინა და დროებით მაინც გამდგარიყო ჩრდილში. აი, სწორედ ამან გამოიწვია განხეთქილება პარტიაში. მათი ლოზუნგი არის —„მიზანი ამართლებს საშუალებას“, ხოლო მათი მიზანი არა რეფორმების გატარება და მოდერნიზაცია, არამედ საკუთარი კეთილდღეობაა. როგორც კი გუნდის ზოგიერთი წევრი ვეღარ იღებდა იმას, რაც მიაჩნდა, რომ მას ეკუთვნის, დაიწყო განხეთქილება. მათ ვეღარ გაიგეს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ სააკაშვილთან, რომელიც იძირება.

— წამოსულებმა განაცხადეს, რომ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ. თქვენ როგორ ხედავთ მათ პოლიტიკურ მომავალს?

— მათ იციან, რომ საკუთარი რესურსები არ გააჩნიათ. მაგრამ საქართველოში ყველაფერი შეიძლება, ერთ დღეში შეიცვალოს. განცხადებებს აქ არავითარი ფასი არ აქვს. ამიტომ ამბობენ ისინიც, რომ მონაწილეობას არ მიიღებენ არჩევნებში. თუ შესაბამისი დინამიკა იქნება, ეს პიროვნებები ცალ-ცალკე შეიძლება, სადმე ვიხილოთ. საქართველოში ნებისმიერი კონფიგურაციაა შესაძლებელი. დასავლეთში ასე არ ხდება. იქ ერთი არასწორი განცხადება ლიდერს წასვლის ფასად უჯდება. აქ შარშან „ახალმა მემარჯვენეებმა“ და კუკავამ ერთად იყარეს კენჭი, მაშინ, როდესაც ერთი პარტია NATO-ში გაწევრიანების მომხრეა, ხოლო მეორე — პირიქით. მაგრამ საქართველოში ჯერ პოლიტიკური პარტია არ არსებობს. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რომელი ერთია პოლიტიკოსი — პალიკო კუბლაშვილი, გოგა ხაჩიძე თუ ზურა ჯაფარიძე? ეს ადამიანები მრავალი წლის განმავლობაში ეკრანზე ჩნდებოდნენ, რომ ეთქვათ ტყუილი და ასეთივე ტყუილია მათი განცხადებები ახლაც. რომელი პროდასავლური ძალა ესაა?! როდესაც მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დასავლეთს საქართველოზე ხელი ჩაექნია.

— მიხეილ სააკაშვილის სიჩუმეს რას მიაწერთ?

— მიხეილ სააკაშვილი ჩუმადაა, რადგან შიგნით მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც უნდა დაილექოს. უნდა გაირკვეს, ვინ დარჩება და ვინ — არა, ამის შემდეგ ვის რა ფუნქცია შეიძლება, ჰქონდეს. მერე კი სააკაშვილი გააკეთებს კომენტარს ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ის აუცილებლად ჰკითხავს აზრს თავის ზოგიერთ დასავლელ მეგობარს, რადგან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მას პარტიიდან წასულების დაგმობა არ აწყობდეს. ეს შეიძლება, საკმაოდ ანტიდემოკრატიულ ნაბიჯად შეფასდეს, რადგან თვითონ ამბობს ახალი სახეების არსებობის შესახებ. პოლიტიკურად სწორად იქცევა სააკაშვილი, ბოკერიასგან, გაბაშვილისგან, თარგამაძისგან და სხვებისგან განსხვავებით. მან რომ ახლა განცხადება გააკეთოს, შესაძლოა, პარტიის დაშლის პროცესი დააჩქაროს. ამიტომ არის ჩუმად.

— საზოგადოებაში უკვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური არეალიდან ისე ქრება, რომ სამართლიანობა არ აღდგენილა, თქვენ რას ფიქრობთ?

— ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც ერს და სახელმწიფოს სჭირდებოდა, იყო სამართლიანობის აღდგენა. სამართლიანობა უნდა აღმდგარიყო ისე, რომ არც ქვეყნის შიგნით და არც მსოფლიოში ეჭვი არ შეპარვოდა არავის, რომ ეს არ არის პოლიტიკური დევნა. ყველას უნდა სცოდნოდა, რომ ეს კანონის სრული დაცვით მოხდა. როდესაც ისრაელში გასამართლეს და ციხეშია ყოფილი პრეზიდენტი, როდესაც ევროპაში ყოფილ პრეზიდენტს ასამართლებენ იმის გამო, რომ მას პარიზის მერობის დროს 7 ადამიანი გაუფორმებია პარტიული ნიშნით, აქ უგულავას 3000 კაცი ჰყავდა გაფორმებული პარტიული ნიშნით და არავის გაუსამართლებია. ახალმა ხელისუფლებამ არ აღადგინა სამართლიანობა. სამაგიეროდ, მთელ მსოფლიოში შეიქმნა იმის ილუზია, რომ საქართველოში ხალხს პოლიტიკურად დევნიან. „ნაცები“ რომ ასე გამოსვლებს და აქეთ შეტევას ბედავენ, ამაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. სააკაშვილმა რომ 14 მილიარდ დოლარამდე ვალი დააგროვა, ესეც პასუხგაუცემელი დარჩა.

ნენე სტეფანიშვილი

◎ შეფასება

რამაზ საყვარელიძე: ქართულ სისტემაში შემოდის ჩინეთი, რაც დღეისთვის რთულად პროგნოზირებადი პროცესია

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ჩინეთიდან ევროპისკენ მიმავალი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე, რომელმაც საქართველოზეც უნდა გაიაროს, ლაპარაკობს და მის დადებით და უარყოფით მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას. ამის შესახებ საყვარელიძე „რეპორტიორს“ ესაუბრა და განაცხადა, რომ ჩინეთი საკმაოდ არაპროგნოზირებადი ქვეყანაა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

„ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცები ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში. ქართულ სისტემაში შემოდის ჩინეთი, რაც დღეისთვის ძალიან რთულად პროგნოზირებადი პროცესია. მთელი დანარჩენი მსოფლიო დიდი ყურადღებით უყურებს ჩინეთს, მაგრამ დიდი სიფრთხილით გამოთქვამს მოსაზრებებს. ჩინური თემა ძალიან მნიშვნელოვანი და არაპროგნოზირებადია. ასეთი პოტენციალის ქვეყანა, ეკონომიკურად ამერიკას რომ ეჯიბრება, სამხედრო პოტენციალი რამხელა აქვს, დემოგრაფიული პოტენციალი სალაპარაკო აღარ არის, საკმაოდ „აზიატური“ პოლიტიკის პატრონი ქვეყანა აპირებს, ევროპამდე გაიყვანოს რკინიგზა, ხოლო ეს რკინიგზა გაჰყავს საქართველოზე, ანუ საქართველოს აბამს თავისი ევროპული პოლიტიკის ჯაჭვში. ეს, ერთი მხრივ, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ, მეორე მხრივ, დასაფიქრებელია, თუ რას შეიტანს ჩინეთი ევროპაში, ანუ რისთვის გვიყენებს ჩვენ ჩინეთი, რომელი პოლიტიკისთვის? თუ აღმოჩნდება, რომ ეს რკინიგზა ანტიევროპული პოლიტიკის მატარებელია, ჩვენ შეიძლება, ძალიან სერიოზული არჩევნის წინაშე დავდგეთ. იმ რკინიგზაზე რომ დასვას თავისი შეიარაღებული ძალები და აამოძრაოს კონტინენტზე, ამას სულისშემძვრელი შედეგები მოჰყვება. გარანტია იმისა, რომ ჩინეთი ძალისმიერ მეთოდებს არ გამოიყენებს, არ არსებობს.

ამ ფაქტით არც რუსეთი და არც ამერიკა აღფრთოვანებული არ იქნება. ამერიკისთვისაც ეს ჩინური ტალღა, ევროპისკენ მიმავალი, დაძაბვის საბაბია. რუსული გაზის ევროპაში შეტანამ ამერიკის გავლენა შეამცირა, ახლა ჩინეთი აპირებს იმავეს. ამ პროცესების მონაწილე ვხდებით ჩვენ“, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ნენე სტეფანიშვილი

◎ რეფორმის პირისპირ

აბა, ვინ გადახედავს მოსამართლეთა წარსულში ჩადენილ გადაცდომებს?

დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედება, რომელზეც უზენაესი სასამართლო და მოსამართლეთა კორპუსი სამუშაო შეხვედრებს მართავს, არ ითვალისწინებს მოსამართლეთა მიერ წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების შემოწმებას, — ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გვენეტაძის განმარტებით, კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებზე. მისი თქმით, აღნიშნული გადაცდომები უნდა დადგინდეს და დაკვალიფიცირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წინასწარ გამოქვეყნებული კრიტერიუმების შესაბამისად.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მხარეს, ამ შემთხვევაში მოსამართლეს, შესაძლებობა ექნება, დააყენოს დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხიც, რა შემთხვევაშიც საქმეში ერთვება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

„როგორც სასამართლო კორპუსში, ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეები ჰყავს, მათ აქვთ თავიანთი არგუმენტები. ჩვენ გვინდა, რომ კრიტიკის ფონზე ეს ინსტიტუტი უფრო დავხვეწოთ. მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოების წესში 2013 წლიდან პრობლემები გაჩნდა. კერძოდ, 2013 წლის შემდეგ გახდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის შემოტანის საკითხი აქტუალური. სტატისტიკის მიხედვით 2013 წლის ივნისიდან, როცა ახალი იუსტიციის საბჭო შეიკრიბა, 2015 წლის 1 იანვრამდე სადისციპლინო წარმოების წესით განსახილველად 484 განცხადება, საჩივარი იყო წარმოდგენილი. აქედან 384-ზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა, რაც ნიშნავს, რომ არ დადასტურდა გადაცდომა, 22-ზე მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით, 8 საქმეზე კი, საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება და ეს საქმეები დარჩა ჰაერში გამოკიდებულად, რაც გამოიწვია იმან, რომ საბჭოში შესაბამისი რაოდენობის ხმები ამ საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებად არ შეგროვდა“, — განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

მისი თქმით, სწორედ აღნიშნულ პრობლემას აღმოფხვრის დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნა.

ადვოკატები საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდნენ

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ინიციატივით, ადვოკატები საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს და თავმჯდომარეს შეხვდნენ.

ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, სასტუმრო „რედისონში“ გამართულ შეხვედრაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განიხილეს.

„მსგავსი ინტერაქტიული შეხვედრები მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის და ადვოკატების ინფორმირებულობისთვის. ასევე მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც, ერთი მხრივ, გროვდება საკონსტიტუციო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილებების დროს და, მეორე მხრივ, ხდება მისი გამოყენება სასამართლო განხილვისას სასამართლოებში“, — განაცხადა ადვოკატმა ზვიად კორძაძემ.

იურიდიული ფირმების ასოციაციის ინიციატივა საინტერესოდ შეაფასა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა.

მისი თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და ხელისუფლების შტოებს შორის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

შეხვედრას დაესწრო ევროკავშირის პროექტ „საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერა საქართველოში“ ხელმძღვანელი გიორგი ტუღუში. მისი ინფორმაციით, შეხვედრის განსახილველ საქმეებში მიწის მიყიდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებიც არის.

„საინტერესო ინიციატივაა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები და სასამართლოს ხელმღვანელობა ხვდებიან პრაქტიკოს ადვოკატებს, რომლებიც წარმოადგენენ წამყვან იურიდიულ ფირმებს. შესაბამისად, ინტერესიც არსებობს რიგი გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც მათთვის არის პრიორიტეტული. საკითხი ეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორიც არის მიღებული მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით, ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით და ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც შეიძლება გამოიყენო პრაქტიკაში“, — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

ინტერპრესი

◎ გულის ბუხარი

შენ ანგალიც არა ხარ, ვანიჩკა, ჟურნალისტი - მით უფრო!..

თავდაპირველად, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, სიტყვა ანგალს „გავშიფრავ“ – წრეს გადასული მასხარა, უადგილოდ, თავშეუკავებლად ოხუნჯი.

ვანიჩკა ანგალიც არ არის, ამ სიტყვის კარგი გაგებით. იგი, შეიძლება ითქვას, ძალიან ხშირად **უბრალოდ წრეს გადასული კი არა, უზნეო ტაკიმასხარაა თავისი შოუთი, ანგარებიანი, ნამუსგაყიდული ტაკიმასხარა,** რომელიც, როცა მას და მის ბოსებს დასჭირდებათ, შავზე ისე იტყვის

თეთრიაო, არც გაწითლდება, ხოლო, თუ კუთხეში მიიმწყვდევ, უსირცხვილოდ ამოიკნავლებს, – რა ვქნა, დალტონიკი ვარ, ფერებს ვერ ვარჩევო.

მის უნამუსობა-არაობიექტურობაში სამხილებლად და მაგალითების საძებნად შორს არ წავალ – ბოლო, 29 მაისის შოუდან მოვიშველიებ ვანიჩკას ერთ „პასაჟს“, რითაც, ვითომ, პრემიერ-მინისტრი გააშარჟ-გააშაყირა:

ირაკლი ღარიბაშვილმა თქვაო, რომ წლეულს, შარშანდელთან შედარებით, 33 ათასით მეტი კაცი დასაქმდაო.

ამას რა სჯობსო, – უკბილო ანგალმა, – **მაგრამ ახლა მთავარი ის არის, რომ ის 33 ათასი კაცი დავასაქმოთ, ვის ადგილებზეც ეს ახლები დანიშნესო!**

– უჰ, შენი გულისა, რა მაგარია!

კიდევ კარგი, რომ თითქმის ორი თვის წინათ მაქვს ოპერაცია გაკეთებული, თორემ ვანიჩკას ასეთი დახვეწილი კომენტარიუმორით გამოწვეული თავშეუკავებელი სიცილისგან მუცელზე ნაკერი გამეხსნებოდა!

ახლა კი სერიოზულად, ტაკიმასხარავ! გირჩევ, დალტონიკობასთან ერთად, ხანდახან მაინც, ყრუობაც დაიბრალო და ამით გაამართლო საკუთარი უნამუსობა:

პრემიერმა ხომ გაზგასმით თქვა – რაც მთავარია, ეს 33 ათასი კაცი კერძო სექტორში დასაქმდაო!

ვერ გაიგე მისი ნათქვამი, ვანო ყრუ, თუ საჯარო სამსახურსა და კერძო სექტორს ერთმანეთისგან ვერ არჩევ?

ასე რომ, შენ ანგალიც არა ხარ, ვანიჩკა, ჟურნალისტი კი, ჩვენი ამქრის საბედნიეროდ, – მით უფრო.

...სულ დაგავიცკდათ კარტული?..

გინდ მგელს შევუჭამივარ და გინდ მგლისფერ ძაღლსო, ნათქვამია.

ამის ანალოგიით, პირადად ჩემთვის, ერთი რიგითი ქართველისთვის, თერგდალეულიც და ოკეანედალეულიც თითქმის ერთია. დავაზუსტებ: ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობ ქართულ ენას, ყოველივე ქართულს და ქართულ სივრცეში მის დაცვა-პატივისცემას.

თუმცა, ეს ვრცელი და ცალკე სასაუბრო თემაა. ამიტომ „რუსთავი-2“-ის ბოლო „პროფილის“ იმ კადრს გავიხსენებ, რამაც კალამი ამაღებინა:

თავის ამ შოუში მაია ასათიანი იქსფაქტორის მონაწილეებსა და იმათ მშობლებსა თუ ახლობელ-მეგობრებს მასპინძლობდა.

ერთ-ერთი პირველები მამა-შვილი ზურა და დიმა კობეშავიძეები შემოვიდნენ სტუდიაში.

– როგორი ურთიერთობა გაქვთ მომღერალ მამა-შვილსო, – იკითხა მაიამ.

– კონფლიქტურიო! – მოკლედ მოუჭრა დიმამ.

– რათაო? – სასკანდალო თემა იყნოსა წამყვანმა.

– მამაჩემი მსაყვედურობს, სულ ინგლისურ სიმღერებს რად მღერი, ქართული რად დაივიწყეთო!

– გამიინგლისელეს შვილიო! – ნაღვლიანად წაიოხუნჯა მამამ.

ბარაძალა, ბატონო ზურაბ!

ილიასი არ იყოს, მიგიხვდი, ჩემო „მოხევევ“, რა ნესტრითაც ხარ ნაჩხვლეტი.

მიგიხვდი, როგორ გტკივა ის, რომ საქართველოში სულ უფრო მეტად მრავლდებიან ისეთი „ქართველები“, ვისზეც გულისტკივილით წერდა მუხრანი: მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს (სამწუხაროდ, ხშირად, ვერ ახერხებს კი არა, ესირცხვილება!).

რა ხდება, ბატონებო, ამ შემთხვევაში „რუსთავი-2“ ხელმძღვანელებო, ხალხისთვის ჯოჯოხეთის მოსაწყობად რომ ხართ მზად და არც იშურებთ მისთვის შხამსა და სამსალას, და, რაც მთავარია, იმისო ბოსებო: მას მერე, რაც ოკეანის წყალი დალიეთ და ოკეანის გაღმიდან გმართავენ, „ქეთო და კოტეს“ პერსონაჟისა არ იყოს, „სულ დაგავიცკდათ კარტული?“

თუ გაიანკებულებს ქართველობა და ქართული მართლაც გესირცხვილებათ?

ქართული ტელევიზია **(თუ იგი, მოწოდებით, შინაგანად მართლაც ქართულია!)** საქართველოში ყოველივე ქართულს რომ უნდა იცავდეს და უფრთხილდებოდეს, ეს არ იცით?

სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, ეს არ იცის აშკარად ინტელექტუალმა გენდირექტორმა „რუსთავი-2“-ისა?

მოკლედ მოვჭრი: ნუთუ არ შეიძლება, რომ იქსფაქტორის ერთი ტური მაინც (თუმცა, რატომ მარტო ერთი? მაგრამ, ამათს ხელში, ყვავისა და კაკლისა არ იყოს...) ქართული სიმღერის ტურად დასახელდეს და ქართველმა მომღერლებმა ქართული ჰანგებით დაატკბონ მსმენელ-მაყურებელი?

რაო, საესტრადო სიმღერები არ გვივარგა თუ ხალხური?

ვითომ შემთხვევით აჟღერდა კოსმოსში ამერიკული რაკეტის მიერ გატანილი „ჩაკრულო“?

რაო, ამერიკელებმა რომელიმე ინგლისური სიმღერის კასეტა ვერ იპოვეს მაშინ და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა დაბნეულებმა კოსმოსში „ჩაკრულოც“ ისევე უადგილოდ ააჟღერეს, როგორც შარშან ვილნიუსში ევროკავშირთან ასოციირების ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებისას საქართველოს ჰიმნის ნაცვლად ბალტიისპირელებმა „შალახო“ შეუბერეს?

ქართულ ენასა და ყოველივე ქართულს მივხედოთ, ქართველებო!

თუ ნაღდი ქართველები ვართ შინაგანად, მთელი ჯიგრით, ცხადია!

რუსლან რუსია

◎ ინფორმაცია

ილია მეორე:

ბევრს უჭირს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი არ დატოვებს საქართველოს

მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“, – განაცხადა გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას.

უწმინდესმა მრევლს დღესასწაული მიულოცა და აღნიშნა, რომ ხარობს სრულიად საქართველო, რაჭა, რადგან მას ახალი ეპისკოპოსი დაუდგინდა. პატრიარქის თქმით, ღვთის განგებამ აირჩია ისეთი ეპისკოპოსი, რომელიც ღირსეულად გაუძღვება ამ კუთხეს.

ქადაგებისას უწმინდესმა აღნიშნა, რომ სულიწმინდის დღესასწაულზე უხვად გადმოდის სულიწმინდის მადლი საქართველოზე და მთელ მსოფლიოზე, რათა მოხდეს ფერისცვალება.

„გადმოდის სულიწმინდის მადლი, რომ კეთილმა იმეფოს ქვეყანაზე. თქვენ კარგად ხედავთ, რამდენად რთულ პერიოდში ვცხოვრობთ, სულიერ პრობლემებს ემატება მატერიალური პრობლემები. ბევრს უჭირს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი არ დატოვებს საქართველოს, მოუვლენს იმ მადლს, რომელიც არის „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“, – ბრძანა უწმინდესმა.

ქადაგებისას პატრიარქმა ახალნაკურთხ ნიკორწმინდის მეუფეზე, ეპისკოპოს ვახტანგზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მეუფე ვახტანგმა რთული გზა გამოიარა. უწმინდესის თქმით, ეს საჭირო იყო, რომ უფალს მასზე პასუხისმგებლობა დაეკისრებინა. პატრიარქმა შესთხოვა უფალს, „აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. ქადაგების ბოლოს უწმინდესმა მიმართა ახალნაკურთხ ეპისკოპოს ვახტანგს ამბიონზე მასთან ასულიყო, მანამდე მიმართა მეუფე ვახტანგს, რომ წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი ნიკორწმინდის განსაკუთრებული მფარველია და რასაც სთხოვს, მისცემს. პატრიარქმა ამ სიტყვების შემდეგ ახალნაკურთხ ეპისკოპოსს მეუფის კვერთხი გადასცა და დალოცა იგი.

◎ ნაცმოძრაობა უნდა აიკრძალოს!

ზურგში – დანა, მუცელში – საბართებელი!

ანუ საით მიგვაქანებს ერთი ჭირის მეორეთი ჩანაცვლების პოლიტიკა?!

ახალგაზრდა **უფლებადამცველთა ასოციაცია ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის (გაუქმების) მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.**

უფლებადამცველები ირწმუნებიან, რომ ყოფილი მმართველი პარტიის დანაშაულის დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები არსებობს და დროა, ნაცმოძი საერთოდ გაქრეს პოლიტიკური ავანსცენიდან.

მათგან განსხვავებით, სხვა პრეტენზიები აქვს გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს, რომელიც ამტკიცებს, რომ ნაციონალური მოძრაობა მისი და მისი თანამოაზრეების დაფუძნებულია (პირველი თავმჯდომარეც თავად ბრძანდებოდა) და ყველა საჭირო დოკუმენტი მოეპოვება ამის დასადასტურებლად.

მირიანაშვილი არ ერიდება იმის თქმას, რომ ამერიკაში თავის დროზე ნაკურთხი პარტია მიშამ ქურდულად (ხელის გადაგრეხის და პოლიტსაბჭოს ცალკეული წევრების მოსყიდვის ფასად) შეაწერა და სააკაშვილის ზეობის პერიოდში არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა მის დასაბრუნებლად.

ნაცმოძის ყოფილი მესაკუთრე დარწმუნებულია იმაშიც, რომ დღევანდელი სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს და პარტიასაც დაიბრუნებს.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მირიანაშვილის გადაწყვეტილებაში ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ხედავს – მათი აზრით, ქართული სასამართლო დღესაც არ არის იმდენად თავისუფალი, რომ ასეთი თამამი გადაწყვეტილება მიიღოს.

საქმე ისაა, რომ პარტიის კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნება მარტო ბეჭდის და შტამპის დაბრუნებას არ ნიშნავს – თუ ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მას უბრუნდება პარტიის უძრავ-მოძრავი ქონება და საპარლამენტო პოლიტიკური სუბიექტის სტატუსიც, რომელიც დღეს გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის „სახელი“ და „გვარი“ მთლიანად აღებული.

ისმება კითხვა: რატომ დაემთხვა ასე საეჭვოდ ახალგაზრდა უფლებადამცველთა გააქტიურება ნაცმოძრაობის გაუქმების (აკრძალვის) თაობაზე მირიან მირიანაშვილის „რკინისებურ“ ინიციატივას?! და რაც მთავარია, რატომ ემთხვევა ეს ყველაფერი ნაცმოძრაობიდან 4 აქტიური წევრის გასვლას?! (აანონსებენ იმასაც, რომ უახლოეს ხანებში, შესაძლოა, პარტია სხვა ოდიოზურმა ფიგურებმაც დატოვონ).

დასკვნა მარტივია: ეს ყველაფერი იაფფასიანი ტრიუკებია საზოგადოების დასაბოლებლად და ყურადღების არარსებით საკითხებზე გადასატანად. ქვეყანას სხვა, უფრო რთული განსაცდელი ელოდება, რომელიც შეიძლება ნაცმოძრაობაზე გაცილებით დიდი თავის ტკივილი აღმოჩნდეს!

ამის სიმპტომები უკვე ნათელია. ოღონდ, ყველაფერს ლოგიკის ჩარჩოში მოქცევა და გააზრება სჭირდება – უკვე არც ნებაყოფლობით „გამამლუქებული“ მიშაა საქართველოს მოუშორებელი ჭირი და არც ნაცმოძრაობაა გადაულახავი ბარიერი – მთავარი ჭირი წინ გველოდება, მნიშვნელობა არა აქვს, რა სახელითა და გვარით დამკვიდრდება იგი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში...

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება, ითქვას: თუ მავანის ინტერესში შედის, მირიანაშვილიც დაიბრუნებს ქურდული მენტალობით წართმეულ პარტიას, ახალგაზრდა უფლებადამცველებიც მივლენ ფინიშთან ახლოს, მაგრამ ამით ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება – ამ სიყალბეში, ქაოსსა და გაურკვევლობაში კიდევ უფრო დიდი სიჩქარით გავქანდებით უფსკრულისკენ, საიდანაც გამოსვლა დღევანდელი ცნობიერების მატარებელ საზოგადოებას ნამდვილად გაუჭირდება!

სად არის გამოსავალი?!

გამოსავალი სიყალბის მხილებაში და თავისუფალი აზროვნების ადამიანების გაერთიანებაშია, რომელიც ძალიან რთული, მაგრამ მიუღწეველი ნამდვილად არ იქნება!

საბა საბახტარაშვილი

მსოფლიო ისტორიის გამორჩეული პიროვნება



აიათოლა რუჰოლა ხომეინი (1902–1989)

აიათოლა სეიიდ რუჰოლა ხომეინი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. სწორედ ის იყო 1978–79 წწ. ირანის ისლამური რევოლუციის მთავარი იდეოლოგი და ირანის ისლამური რესპუბლიკის უპირველესი შემოქმედი.

აიათოლა ხომეინიმ პოლიტიკური მოღვაწეობა სათავეს იღებს 1963 წლიდან, როდესაც ირანის შაჰმა გადაწყვიტა მთელი რიგი რეფორმების განხორციელება. ეს რეფორმები ძირითადად არ პასუხობდა ირანის მოსახლეობის ინტერესებს. ირანის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას შორის მონარქიისათვის ყველაზე რთული პოლიტიკური ობიექტი უპირობოდ სამღვდელოება იყო.

1963 წ. იანვარში ირანის რელიგიურ ცენტრში, ყუმის ფაიზიეს მედრესეში რეფორმებისადმი უარყოფითად განწყობილ თეოლოგ სტუდენტებსა და შენობაში შეჭრილ სავაკ-ის რაზმს შორის ბრძოლა გაჩაღდა. 2 ივნისს (10 მოჰარამს) ხომეინიმ გააკეთა მოწოდება „ჩვენი დროის იაზიდის წინააღმდეგ“ (იაზიდი იყო ხალიფა, რომელთანაც უთანასწორო ბრძოლას შეეწირა შიიტთა მოწამე იმამი ჰუსაინი). მეორე დღეს ხომეინი და კიდევ 14 რელიგიური პირი ყუმიდან, შირაზიდან და მაშჰადიდან, დაეპატიმრეს. ამ ფაქტმა დიდ ქალაქებში ახალი მღელვარებები გამოიწვია. 5 ივნისს ამბოხება დაიწყო თეირანში. შაჰმა არმიას სროლის ბრძანება მისცა, რასაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა. ეს აჯანყება თანამედროვე ირანული ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ ისლამური რევოლუციის გარიჟრაჟად მოინათლა.

საპატიმროდან გამოშვების შემდეგ ხომეინიმ კიდევ ერთხელ გაილაშქრა შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ. 1964 წლის ოქტომბერში შაჰმა ყველა ამერიკელს დიპლომატიური იმუნიტეტი მიანიჭა. 27 ოქტომბერს კი დღის სინათლე იხილა ხომეინის „ანტიკაპიტულანტურმა“ წერილმა. ნოემბერში 62 წლის ხომეინი ქვეყნიდან გააძევეს.

ხელისუფლებასთან ხომეინის პირველი კონფრონტაცია მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო. პირველ რიგში, გამოჩნდა ხომეინის მსოფლმხედველობა და მისი მიზნები; ასევე გამოვლინდა ხომეინის, როგორც ტაქტიკოსისა და ქარიზმული ლიდერის თვისებები; დაბოლოს, ნათელი გახდა, რომ მოსახლეობის ანგარიშგასაწევი ნაწილი მზად იყო, გვერდში დადგომოდა სასულიერო ლიდერებს შაჰის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1963 წ. ამბების შემდეგ იგი ერთხანს ცხოვრობდა ბურსაში (თურქეთი), 1965 წ. ოქტომბრიდან კი – ნაჯაფში (ერაყი). 1978 წელს ირანში დაბრუნებამდე, ის მცირე ხნით დასახლდა საფრანგეთში.

ხომეინის თანდათანობით უყალიბდებოდა ფაჰლავიანთა მონარქიის „ისტორიის სანაგვეზე“ გადაგდების მოთხოვნა. ხომეინის ნააზრევში სამღვდელოების მიერ პოლიტიკური ხელისუფლების ხელში აღების თემამ წინ წამოიწია 70-იან წლებში. ამასთან დაკავშირებით კი განსაკუთრებით მძაფრი ფორმა მიიღო მისმა ანტიმონარქისტულმა განწყობამ: „ისლამი მონარქიის პრინციპს არაკანონიერად აცხადებს“, წერდა იგი.

დასავლეთის გავლენისაგან მუსლიმური ქვეყნების დაცვისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ხომეინი ისლამს და მუსლიმურ სამღვდელოებას მიიჩნევდა: „უცხოელებმა ირანელთა მენტალიტეტი შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ მათი გეგმების რეალიზაციის ერთადერთ წინაღობას ისლამი და სამღვდელოება წარმოადგენს... ამიტომაც ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ამ წინაღობის მოსპობას... დასავლური მმართველობის სისტემები მიუღებელი და ზედმეტია ისლამური სამყაროსათვის.“ ერთ-ერთი დასავლელი ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში ხომეინი აღნიშნავდა: „ისლამი მოიცავს ყველაფერს, იმასაც, რასაც თქვენ თავისუფლებასა და დემოკრატიას უწოდებთ... სიტყვა ისლამს არ ესაჭიროება ზედსართავი დემოკრატიული.“

დასავლეთთან ერთად, ხომეინი უარყოფითად აფასებდა კომუნისტურ სამყაროსაც: „კომუნისტები ისეთივე საფრთხეს წარმოადგენენ ირანისათვის, როგორც შაჰი.“ 60-იანი წლების მესამე სამყაროს ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა მარქსისტული იდეები. მუსლიმურ სამყაროში მემარცხენე ინტელექტუალები ამ იდეების ისლამის ნორმებთან მისადაგებასაც ცდილობდნენ. ხომეინი მკაცრად ილაშქრებდა ამ „ისლამისტი მარქსისტების“ წინააღმდეგ.

ხომეინის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია 1971 წელს ირანის სახელმწიფოებრიობის 2500-წლოვანი იუბილეს პომპეზურმა აღნიშვნამ (საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში ირანის ზოგიერთ რეგიონში გვალვამ ათასობით ადამიანი სარჩო-საბადებლის გარეშე დატოვა). ხომეინი აღნიშნავდა: „მონარქიის პრინციპი ოდითგანვე ეწინააღმდეგება გონივრულ კანონებს, წესებსა და ადამიანის უფლებებს. დავუშვათ, მთლიანად ხალხმა ხმა მისცა იმას, რომ ერთი ადამიანი ყოფილიყო მონარქი, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მონარქის შთამომავლებიც მონარქები უნდა ყოფილიყვნენ?“ 1972 წლიდან ხომეინის ლექსიკონში ჩნდება ახალი ტერმინები: „ნეოკოლონიალიზმი“, „განვითარებადი ქვეყანა“, „სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პრესა“ და სხვ.

თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „ისლამური მმართველობა“, ხომეინი ამტკიცებდა, რომ ისლამი არა მარტო ეთიკური რელიგიაა, არამედ ყველა ის კანონი და პრინციპები აქვს, რომლებიც აუცილებელია მმართველობისა და სოციალური ადმინისტრირებისათვის. აქედან გამომდინარე, ისლამური მმართველობა არის ჭეშმარიტი კონსტიტუციური მმართველობა, რომელსაც ყურანი და ტრადიციები აქვს კონსტიტუციის სახით. იმის გამო, რომ ყურანსა და ტრადიციებში არ არის სპეციფიკური მითითება იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იყოს მმართველი ოკულტაციის პერიოდში, შარიათის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის აუცილებელია სოციალური წესრიგი. მუსლიმი გამგებელი უნდა იყოს სამართლიანი. შესაბამისად, მან ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს შარიათი, რათა მისი ქმედებები საღვთო კანონის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ამ პირობებს აკმაყოფილებს მხოლოდ ფაყიჰი. იგი არის პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტად ხელეწიფება მუსლიმური თემის მართვა – ველაიათ-ე ფაყიჰი. მან იგივე ფუნქციები უნდა იტვირთოს, რომელთაც იმამი ასრულებდა, თუმცა, ბუნებრივია, მას ვერ გაუტოლდება. ამგვარ მმართველობაში არ არის ადგილი მეფეებისა თუ სხვა საერო ხელისუფალთათვის. ხომეინი მკაცრად გმობდა იმ სასულიერო პირებს, რომლებიც თავს არიდებენ პოლიტიკურ და სოციალურ საქმეებში ჩართვას.

ხომეინის თვალსაზრისით, ისლამური სახელმწიფო შემდეგ პოლიტიკურ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა:

საერო მმართველები, რომელთაც სურთ, გამოიყენონ ისლამური კანონები, აუცილებლად უნდა დამორჩილებოდნენ ფაყიჰებს – ღვთისმეტყველ-სამართლისმცოდნეებს. აქედან გამომდინარე, თემის ჭეშმარიტი მმართველები ფაყიჰები უნდა იყვნენ.

ხომეინი მიიჩნევდა, რომ რომელიმე ერთი ფაყიჰი არ წარმოადგენს აბსოლუტურ ავტორიტეტს თავისი კოლეგებისათვის, ვინაიდან შიიზმში არ არსებობს იერარქია. მიუხედავად ამისა, ერთი პიროვნება შეიძლება გახდეს საზოგადოების მმართველი და მისი სულიერი წინამძღოლი, თუკი ის სხვათა მიერ აღიარებული იქნება ყველაზე განსწავლულად და ყველაზე სამართლიანად. სწორედ ფაყიჰებს შორის უპირველესი, ველაიათ-ე ფაყიჰი არის სახელმწიფოს ჭეშმარიტი მეთაური. „ისლამური მმართველობის შექმნისათვის ბრძოლის გზა ველაიათის რწმენაზე გადის.“

ტირანებმა, შესაძლოა, ხელი შეუშალონ ფაყიჰებს თავიანთი მოვალეობის შესრულებაში, მაგრამ ისინი ღმერთის მიერ არიან აღჭურვილნი ამ უფლებამოსილებით. ფაყიჰები მოციქულისა და თორმეტი იმამის საქმის გამგრძელებელნი არიან.

ხომეინის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციიდან გამომდინარე, ისლამური რევოლუცია ირანში არ წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მოვლენას. ეს ასევე იყო რევოლუცია შიიზმშიც – მოხდა უზენაესი რელიგიური ავტორიტეტის შიიტური თეორიის რადიკალური ტრანსფორმაცია. ველაიათ-ე ფაყიჰის კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს იმამათის შიიტური თეორიის რევოლუციური რეინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც თემის ჭეშმარიტი მეთაური შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ მოციქული და მისი შთამომავალი იმამები. ხომეინის თანახმად კი უმაღლეს სამღვდელოებას შეეძლო, აერჩია თავისი რიგებიდან ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე რელიგიური პირი, რომელიც მუსლიმური თემის ხელმძღვანელი იქნებოდა როგორც რელიგიის, ისე პოლიტიკის სფეროში და გააგრძელებდა იმამთა საქმეს.

ისლამური რევოლუციის პერიოდში შიიტური სამღვდელოება ერთადერთი არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა იყო ირანში, რომელსაც სოლიდური ბაზა ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელიც ყველასათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა. სამღვდელოებამ, ხომეინის მეთაურობით, შეძლო იმ ხანებში მონარქიისადმი უარყოფითად განწყობილი მოსახლეობისათვის მისაღები და საკუთრივ სამღვდელოებისათვის ტრადიციული ფასეულობებისაგან პოლიტიკური პროგრამა ჩამოეყალიბებინა.

შაჰის ირანიდან გაქცევის შემდეგ, 1979 წლის დასაწყისში ხომეინი ტრიუმფალურად დაბრუნდა ირანში. ახალი ისლამური რესპუბლიკის სულიერი წინამძღოლი, ბუნებრივია, სწორედ ხომეინი გახდა. მისი წინამძღოლობით ირანელმა ხალხმა მოახერხა, ღირსეულად გამკლავებოდა რევოლუციის შემდგომი პერიოდის სირთულეებსა და ახალგაზრდა ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ერაყის მიერ გაჩაღებული ომის სიძნელეებს.

აიათოლა ხომეინი გარდაიცვალა 1989 წელს. ღრმა პატივისცემის ნიშნად ირანელები მას იმამად მოიხსენიებენ.

გიორგი სანიკიძე

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი” 2015 წლის 2 ივნისიდან აცხადებს კონკურსს:

ლოტი №1:
2440 ერთეული მოწყობილობის დამცავი დამიწების კონტურის შემოწმების მომსახურეობის შესყიდვის შესახებ;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სამუშაოების შესრულების ლიცენზია და გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა წერილობით უნდა მიმართოს სს „ელმავალმშენებელის” მუდმივმომქმედ საკონკურსო და საუქციონო კომისიას. პრეტენდენტს უფლება აქვს, კონკურსამდე ადგილზე გაეცნოს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობას.

<u>კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:</u>

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით;
2. შესაბამისი სამუშაოების შესრულების ლიცენზია (ლიცენზიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტის წინადადება იქნება დისკვალიფიცირებული);
3. შესასრულებელი მომსახურეობის გაწევის ღირებულება;
4. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით;
6. იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს წინამდებარე კონკურსის გამოცხადების შემდეგ.

<u>ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ:</u>

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10-დან 15-საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

კონკურსი გაიმართება 2015 წლის 12 ივნისს 12 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული, ოთახი №313.

<u>გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:</u>

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია **<u>ყველაზე დაბალი ფასის დასახელება</u>**.

დამატებითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 265 33 77 , 5 14 30 88 33, 5 99 61 06 03, 5 77 00 37 07

სს „ელმავალმშენებელის” მუდმივმოქმედი საკონკურსო და საუქციონო კომისია.



პაულო კოელიო

მაქთუბი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

ვრეზმა, მცირეაზიულ ლიდიის სამეფოს მბრძანებელმა, სპარსელთა წინააღმდეგ ომი დააპირა. მართალია, საომარ მოქმედებათა დაწყების გადადებას აღარ აპირებდა, მაგრამ წინასწარ მაინც დელფოს ორაკულთან მოთათბირება გადაწყვიტა.

– დიდი იმპერიის განადგურება გიწერია, – უმისნა დელფოს ორაკულმა.

ასეთი პასუხით გულსავსე კრეზმა ომი გამოუცხადა სპარსელთ. უკვე ორ დღე-ღამეში იმათ ლიდია სრულად დაიპყრეს, დედაქალაქი გაძარცვეს, თავად კრეზი კი წარტყვევნეს. გულზე გახეთქილმა ლიდიის მბრძანებელმა თავის ელჩს საბერძნეთში იქვრივისის პირით აუწყა, ორაკულთან მიდი და უთხარი, რომ ლიდიელნი მოგვატყუაო.

– არა, თქვენ მოტყუებულნი არა ხართ, – წართქვა ორაკულმა. – თქვენ ნამდვილად დაღუპეთ დიდი იმპერია, რომლის სახელია ლიდია.

მოძღვარი უბნობს:

– ნიშნები და მინიშნებები თავიანთ მკაფიო ენით გველაპარაკებიან და გვიჩვენებენ, როგორ ვიმოქმედოთ საუკეთესოდ. ჩვენ კი მაინც არცთუ იშვიათად ვცდილობთ ამ ნიშნებსა და მინიშნებებზე საკუთარი შეხედულების ისერიგად დამახინჯებას, რომ ისინი ვერ შეეხმატკბილებიან იმ საქმეს, რის ქმნაც განზრახული გვაქვს რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

გუსკალია მოგვითხრობს მეოთხე მოგვის ამბავს, რომელმაც მოიხილა აგრეთვე საშობაო ვარსკვლავის ციალი ბეთლეემის თავზე, ხოლო შემდგომ მოიარა ყველა ის ქალაქი და სოფელი, სადაც ქრისტე იყო ნამყოფი, მაგრამ ყველგან უცილობლად აგვიანებდა, რადგან გზად შეწევნის მთხოვნელ მრავალ უპოვარს, ბეჩავსა და განკიცხულს ხვდებოდა.

ოცდაათი წელიწადი ის თან სდევდა იესოს ეგვიპტეში, გალილეასა და ბეთანიაში, ხოლო მერმე მივიდა იერუსალიმში – მაგრამ კვლავ ძალზე გვიან: იმ დღეს ყმაწვილი, რომელიც უკვე ზრდასრული ყმაწვილკაცი იყო, ჯვარზე გაეკრათ. მოგვს ისღა დარჩენოდა, რომ იესოსთვის ნაყიდი თითქმის მთელი მარგალიტი გაეყიდა, რათა ხელი აღეპყრო გზად შეხვედრილ ობოლთა და უბადრუკთათვის. ხელთ მარტო ერთი მძივის მარცვალიღა ჰქონდა შერჩენილი – მაგრამ მაცხოვარი უკვე აღარ იყო ამქვეყნად. „დავიღუპე, ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე დავღუპე“, – გაიფიქრა მოგვმა. და იმწუთას ხმა რამ შემოესმა:

– მაგ შენი გაფიქრების მიუხედავად, იცოდე, რომ მთელი შენი ცხოვრების მანძილზე მხვდებოდი. მე იმ შიშველ-ტიტვლებში ვიყავი, რომელთაც შენ აცმევდი. იმ მშივრებში ვიყავი, რომელთაც შენ ანაყრებდი. იმ დილეგის კედლებში გაწამებულებშიც ვიყავი, რომელთაც შენ მონახულებას არ აკლებდი. სუყოველ იმ ღარიბ-ღატაკში ვიყავი, ვინც კი გზად გხვდებოდა და ფრიად მადლიერი ვარ შენი სიქველისთვის, რაიც სიყვარულის დასტურია.

ერთ სამეცნიერო-ფანტასტიკურ მოთხრობაში ლაპარაკია მავან და მავან საზოგადოებაზე, სადაც ადამიანები დაბადებისთანავე მზად არიან გარკვეული პროფესიისთვის და ამ ქვეყანას ევლინებიან უკვე ტექნიკოსებად, ინჟინრებად, მექანიკოსებად. ხოლო იმ მცირეოდენთ, ვისაც არცრის უნარი არა აქვს, ეგრევე საგიჟეთში აგზავნიან, რადგან, ალბათ, ჰგონებენ, რომ მხოლოდ გიჟებსა და გადარეულებს არ შეუძლიათ საზოგადოებისთვის რამე პრაქტიკული სარგებლობის მოტანა.

და აი ერთ-ერთი ამდაგვარი გიჟი და გადარეული აჯანყდა. კლინიკაში, სადაც ის მოათავსეს, კარგა გვარიანად მდიდარი ბიბლიოთეკაა, და ის ცდილობს წიგნებიდან რაც შეიძლება მეტის და მეტის გაგებას მეცნიერებასა და ხელოვნებაზე. ხოლო როს მიიჩნევს, რომ უკვე საკმარისად გათვითცნობიერდა, გაქცევას გადაწყვეტს, მაგრამ იჭერენ და ქალაქგარეთ მდებარე სამეცნიერო ცენტრში მიჰყავთ.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, – ეუბნება ერთ-ერთი თანამშრომელი. – ჩვენ ყველაზე მეტად სწორედ ის ადამიანები აღგვაფრთოვანებენ, რომელნიც დაძაბულად ეძებენ თავიანთ საკუთარ გზას. ამ წუთიდან თქვენ ყველაფრის ქმნა შეგიძლიათ, რაც კი მოგეპრიანებათ, ვინაიდან მხოლოდ თქვენისთანების წყალობით მოძრაობს ყოველი სოფელი, ანუ ეს ქვეყანა წინ.

გიზნესმენი სხვა ქვეყანაში დიდხანს წასვლას აპირებდა და ცოლს ეთხოვებოდა.

– არცროდის ჩემთვის ჩემი ღირსი საჩუქარი არ ჩამოგიტანია, – უსაყვედურა ცოლმა.

– დიდი უმადური ვინმე ხარ! – უთხრა ქმარმა. – რაც რამე გაქვს, ყველაფერი ჩემი არაერთი წლის დაუღალავი შრომით შეძენილია. მეტი რაღა უნდა გაჩუქო?

– რამე ისეთივე ლამაზი, როგორიც მე ვარ.

მთელი ორი წელიწადი ელოდა ცოლი საჩუქარს. და აი ბოლოს დაბრუნდა ბიზნესმენი.

– ზუსტად შენი სილამაზის შესაფერისი რამ ჩამოგიტანე. პირდაპირ გული მიტირიდა შენი უმადურობის გამო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე შენი სურვილის შესრულება. მთელი ეს დრო სულ იმის ფიქრში ვიყავი, რა შეესაბამებოდა შენს სილამაზეს, და ბოლოს მივაგენი.

და ამ სიტყვების თქმისთანავე სარკე გაუწოდა.

ერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ ერთხელ თქვა:

– არ ღირს მთელი ცხოვრება შენი უცვლელი სიმართლის მტკიცება; დროდადრო შეცდომის ჩადენის შესაძლებლობა ადამიანური არსებობის პირობაა.

მოძღვარი უბნობს:

– არიან ადამიანები, რომლებიც ნემსის ყუნწში ძვრებიან, ოღონდაც შეუცდომლად ზუსტნი იყვნენ წვრილმანებსა და დეტალებში. ძალიან ხშირად ჩვენ თავს იმის ნებას არ ვაძლევთ, რომ რამეში შევცდეთ.

მერედა, რას ვაღწევთ ამით? – რას ვაღწევთ და მხოლოდ იმას, რომ შეცდომის ჩადენის შიში გვადამშლავებს და წინ მოძრაობის საშუალებას გვისპობს.

ამას გარდა, შიში უღიმღამობის დილეგში გვამწყვდევს. და უკეთუ მოვერევით, დავძლევთ ამ შიშს, ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ ჩვენი თავისუფლების შესახვედრად.

მორჩილმა აბატ ნისტეროსს ჰკითხა:

– ისეთი რა უნდა ვქნა, რომ ღმერთი გავახარო?

– აბრაამი იღებდა ლოცვადმავალთ, და ღმერთი კმაყოფილი იყო. ილიას არ უყვარდა არცვინ გარმიანელი, და ღმერთი კმაყოფილი იყო. დავითი იმით ამაყობდა, რასაც იქმოდა, და ღმერთი კმაყოფილი იყო. მღვდელი სამსხვერპლოს წინაშე რასაც იქმს, იმისი ერიდება და ღმერთი კმაყოფილია. იოანე ნათლისმცემელმა უდაბნოს მიაშურა, და ღმერთი კმაყოფილი იყო. იონა კი დიდ ქალაქ ნინევიაში წავიდა და ღმერთი კმაყოფილი იყო.

ჰკითხე შენს გულს, რას ისურვებდა.

როს გული შენს ოცნებებთან შეხმატკბილებულია, ის შეძლებს ღვთის გახარებას.

ერთი ბუდისტი მოძღვარი თავის მოწაფეებთან ერთად მოგზაურობდა, და ერთხელ შეესმა, როგორ ეკამათებოდნენ ისინი ერთმანეთს, ვინ უფრო უკეთესი იყო იმათ შორის.

– მე მედიტაციას ვეწევი უკვე თხუთმეტი წელიწადია, – თქვა ერთმა.

– მე კეთილ საქმეებს იმ დროიდან ვიქმ, როგორც კი მამაჩემის სახლი დავაგდე, – თქვა მეორემ.

– მე ერთგულად მივდევ ბუდას სუყოველ სწავლა-დარიგებას, – თქვა მესამემ.

შუადღისას ერთი მსხმოიარე ვაშლის ხის ქვეშ ჩაიქოქინეს, შეიარაქეთეს. ვაშლის ხე ისე იყო დახუნძლული, ტოტები ლამის ძირს ეწყო, მიწაზე.

მაშინ მოძღვარმა ენა დაისველა:

– როცა ხე უხვად შეკუნწლულია, ტოტებს დაბლა ხრის. ჭეშმარიტ ბრძენს სიმდაბლე ახასიათებს.

როცა ხე უნაყოფოა, ტოტები მაღლა აქვს აშვერილი ყიფად და მედიდურად. რეგვენსაც მუდამ თავის მოყვასზე მეტი ჰგონია თავი.

საიდუმლო სერობის ჟამს იესომ ერთი და იმავე ფრაზით და ერთნაირი სიმკაცრით განიკითხა თავისი ორი მოციქული. ორივემ არაერთი დანაშაული ჩაიდინა, რომელ დანაშაულთა შესახებაც მან წინასწარ უწყოდა.

იუდა გონს მოეგო, მოინანია და თავი მოიკლა, პეტრეც მოიდრიკა, ოღონდ იმის მერე, სამჯერ რომ უარყო ყოველივე, რაც სწამდა.

მაგრამ გადამწყვეტ წუთს იგი მიხვდა იესოს სიტყვების ჭეშმარიტ აზრს, მან პატიება სთხოვა და მორჩილად წადგა წინ.

თუმცა, იმასაც შეეძლო თვითმკვლელობა. ამის ნაცვლად მან თამამად შეხედა სახეში თავის თანამეოფლეთ და, ალბათ, რაღაც ამის მსგავსი რამ უთხრა:

„კი, ბატონო, მანამ ილაპარაკონ ჩემს შეცდომაზე, სანამ კაცთა ნათესავი თუ მოდგმა არსებობს. ოღონდაც საშუალება მომეცით, რომ გამოვასწორო ის შეცდომა“.

პეტრე მიხვდა, რომ სიყვარული შეგვინდობს, იუდა კი ვერაფერსაც ვერ მიხვდა.

ერთი სახელგანსმენილი მწერალი ერთხელ მეგობართან ერთად მიდიოდა და დაინახა, როგორ გადარბოდა ვიღაც პატარა ბიჭი ქუჩაზე, რომელსაც აინუნშიც არ მოსდიოდა, რა სისწრაფით მიქროდა იმისკენ სატვირთო მანქანა.

მწერალმა სულზე მიუსწრო და პირდაპირ ბორბლებქვეშიდან გამოსტაცა მანქანას ბიჭუნა.

მაგრამ სანამ ვინმე ბავშვის გადარჩენას მიულოცავდა და მოუწონებდა ნამდვილად გმირულ საქციელს, მწერალმა კარგა გვარიანი სილა გააწნა ყმაწვილს და სათქმელიც ზედ მიაყოლა:

– მოსაჩვენებლად ნუ იყოჩაღებ, არ შეცდე, შვილო. მე მხოლოდ იმიტომ გადაგარჩინე, რათა თავი არ აარიდო იმ პრობლემებს, რომლებიც წინ დაგხვდება, როცა გაიზრდები.

მოძღვარი უბნობს:

– ხანუამისად რატომღაც გვერცხვინება კეთილი საქმის ქმნა. ჩვენთვის დამახასიათებელი დანაშაულის გრძნობა მუდამ იმის ჩაგონებაშია, დიდსულოვნად თუ ვიქცევით, ვითომ სხვებზე ხელსაყრელი შთაბეჭდილების მოხდენას და ღვთის „გულის მოგებას“ ვლამობთ. ძალიან ძნელი ჩანს იმის შესაძლებლად მიჩნევა, რომ ადამიანი თავისი ბუნებით განსაკუთრებულად კეთილია. და ვცდილობთ კეთილი საქმეების ირონიასა და დარდიმანდობაში მიჩქმალვას – თითქოსდა კეთილმოწყალება სისუსტის სინონიმი იყოს.

იესო ტაბლას ათვალთვალებდა, თავის უცხო ქვეყანათა შინა მწირობის საუკეთესო სიმბოლოს ეძებდა. თვალწინ ეწყო გალილეაურნი ბროწეულნი, სამხრეთ უდაბნოებიდან მოტანილი სუნელ-სანელებელნი, სირიული ხმელი ხილი, ეგვიპტური ინდის ხურმა.

ის იყო ხელი უნდა გაეწვდინა და ეკურთხებინა რომელიმე ეს ნაყოფი, რომ უცებ წამოაგონდა – იმისგან გაგზავნილი ეპისტოლე სუყოველ ადამიანს ერთნაირად ეკუთვნოდა, სადაც არ უნდა ეცხოვრათ იმათ. ინდის ხურმა და ბროწეული კი, ალბათ, ყველგან არა ხარობსო, წამოეწია ფიქრი.

მან ისევ მოათვალიერა ტაბლა, და თავში კიდევ ერთი აზრი მოუვიდა: ბროწეულშიც, ინდის ხურმაშიც, ხმელ ხილშიც ქვეყნის დამდგენის სასწაული თავის თავად ვლინდება, ადამიანის ჩაურევლად.

მაშინ მან აიღო ტაბლიდან პური, აკურთხა, დატეხა, დაურიგა თავის მოწაფეებს და მიუთხრო:

– აიღეთ, შეჭამეთ, რამეთუ ეს არის ხორცი ჩემი.

იმიტომ, რომ პური ყველგან არის და კიდევ იმიტომ, რომ განსხვავებით ბროწეულისგან, ინდის ხურმისგან და სირიული ხმელი ხილისგან, პური საუკეთესო და ყოვლის უფრო ხილული გზაა უფლისკენ მიმავალი. პური ამქვეყნად მიწისა და ადამიანის კავშირისგან იშვა.

ჟონგლიორი შუა მოედანზე დადგა, ამოიღო სამი ფორთოხალი და პენტაობა დაუწყო – ჰაერში ისროდა და იჭერდა. სად იყო, სად არა, ხელად სეირის მაცქერალი ხალხი მოგროვდა, ყველას აოცებდა იმისი ხელების მოძრაობის სიზუსტე.

– ეს გარკვეული აზრით ჩვენს ცხოვრებას მაგონებს, – შენიშნა ვიღაცამ, რომელიც ლოცვადმავლის გვერდით იდგა. – თითოეულ ჩვენგანს თითო ფორთოხალი გვიჭირავს ხელში, ხოლო კიდევ ერთი ჰაერშია, სწორედ აქ არის მთელი სხვაობაც. ფორთოხალს აპენტავებენ, ჰაერში ისვრიან და მოხერხებულად, მარჯვედ იჭერენ, რაც მიჩვევისა და გაწაფულობის ამბავია, მაგრამ ფორთოხალს თავისი გზა აქვს. ამ ჟონგლიორისა არ იყოს, ჩვენც ჩვენს ოცნებას ვაპენტავებთ ამქვეყნად, უფრო სწორად მაღლა, ცხოვრებაში ცაში კი ვისვრით, მაგრამ ყოველთვის სათანადოდ და ჯეროვნად ვერ ვამოწმებთ. მაღლა ატყორცნა ერთია და მერე ისევ დაჭერა მეორე. ასეთ დროს უნდა შეგვეძლოს ჩვენი ოცნების უფლისთვის მინდობა და იმის თხოვნა, რომ ჩვენმა ოცნებამ ღირსეულად შეასრულოს თავისი დანიშნულება და უკვე დანიშნულებაშესრულებული ეგრევე ჩაგვივარდეს დასაჭერად გაწვდილ ხელებში.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 89-98

„სოლიდარობის ფონდმა“ 112 ბავშვი დააფინანსა

სახელმწიფო და თითოეული მოქალაქე ვალდებულია, ჩვენს შვილებს მივცეთ უკეთესი მომავალი. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინიტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რესტორან „ოტიუმში“ განაცხადა, სადაც „სოლიდარობის ფონდის“ მიერ დაფინანსებულ 23 ბავშვს პრემიერმა ოჯახთან ერთად უმასპინძლა.

„ძალიან ლამაზი დღეა. მინდა, ჩვენ ბავშვებს ვუსურვო პირველ რიგში მშვიდობა, ჯანმრთელობა და ბედნიერი მომავალი. ჩვენ, სახელმწიფო, თითოეული მოქალაქე ვალდებული ვართ, რომ ჩვენ შვილებს მივცეთ უკეთესი მომავალი. დღეს არის ძალიან ლამაზი დღე - მე ვხვდები „სოლიდარობის ფონდის“ მიერ დაფინანსებულ ბავშვებს, მშობლებს და ვხედავთ, რომ გრძელდება სიცოცხლე და შევძლებთ მათ დახმარებას. ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება, ეს არის ძალიან კარგი საქმე და, როგორც უკვე ჩვენ ვამბობთ, სიკეთე არის გადამდები“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. პრემიერმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც „სოლიდარობის ფონდის“ საქმიანობაში მონაწილეობს.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, 3 მილიონ ლარზე მეტი თანხა შეგროვდა ამ ფონდის მიერ და 112 ბავშვი დაფინანსდა. პრემიერის ინფორმაციით, აქედან ნახევარზე მეტს საზღვარგარეთ უმკურნალეს.

„სოლიდარობის ფონდის“ ხელმძღვანელის მარიამ ჯაშის განცხადებით, 1 ივნისი გარდა იმისა, რომ ბავშვთა საერთაშორისო დღეა და ყველასთვის სასიხარულო დღესასწაულია, საქართველოს „სოლიდარობის ფონდისთვის“ განსაკუთრებულად სიმბოლურია.

„სოლიდარობის ფონდის“ იდეის გარშემო გაერთიანდა 240 საჯარო სამსახურის 40 000-ზე მეტი თანამშრომელი, 18 კერძო კომპანია და 53 სტუდენტური ორგანიზაცია.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოზარდებს უმასპინძლა

საძართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისის სხვადასხვა უბანში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ბავშვებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების თანამშრომელთა შვილებს უმასპინძლა. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეზოში გაიმართა. ღონისძიების დასასრულს ბავშვებს ტორტით, ლიმონათითა და ნაყინით გაუმასპინძლდნენ.

თბილისის მერიისა და საკრებულოს საჩუქარი

თბილისის მერიის დაფინანსებით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პირველი ნაკადი მთის კურორტზე გაემგზავრა.

დავით ნარმანიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა 3-დან 22 წლამდე 50 შშმ პირი ბაკურიანში გააცილეს.

„დღეიდან დაიწყო ეს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 1650 ბენეფიციარისთვის შესაბამისი საგზურის გაცემას, რათა მთის და ზღვის კურორტებზე დაისვენონ იმ ბავშვებმა, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. პირობები არის გაცილებით უკეთესი, ვიდრე ეს წინა წლებში იყო და გასულ წლებთან შედარებით წელს მეტი საგზური გაიცემა. მზადება რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ, რათა განსაკუთრებული ზრუნვის და საჭიროების მქონე ბავშვები ორკვირიანი შუალედით გაემგზავრონ კურორტებზე“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ბავშვები, მშობლებთან ერთად, 13 დღე სასტუმრო „ვერე პალასში“ დაისვენებენ, სადაც მათ ადაპტირებული გარემო, სტადიონი, საცურაო აუზი, მაგიდის ჩოგბურთის, სატრენაჟორო და საბილიარდო დარბაზები დახვდებათ. მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის განცხადებით, „შშმ პირთა საკურორტო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში, წელს მთასა და ზღვაზე უპრეცედენტოდ ბევრი შშმ პირი დაისვენებს. კერძოდ, ბავშვებსა და მათ მშობლებზე 1 650 საგზური გაიცემა.

ბორჯომი ტურისტული სეზონისათვის ემზადება

როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავს, ინტენსიური სამუშაოები ტარდება ქალაქის ცენტრში მტკვრის სანაპირო სკვერის განახლებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით მოხდება ჭავჭავაძის ქუჩიდან სილამაზის ხიდამდე მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, გარე განათება და გამწვანდება ტერიტორია. მტრედის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე კი უახლოეს მომავალში დასრულდება სკვერის მოწყობა. სკვერში განთავსდება ახალი ატრაქციონები, სკამები, მოეწყობა ბილიკები და გამწვანდება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ქალაქში აქტიურად მიმდინარეობს გზების, ხიდების, მოსაცდელების, სახლების გადახურვის სარეაბილიტაციო და გარე განათების ბოძების სამღებრო სამუშაოები. შიდა გზების მშენებლობის პროცესი გრძელდება ბაკურიანში, სოფელ მზეთამზეში კი მისასვლელი გზის 800-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით დაბა წაღვერის ცენტრში დაგეგმილია სკვერის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ხულოში დაკარგული ინდოელები

ხულოს მუნიციპალიტეტში დაკარგული 5 ინდოელი იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი და საგანგებო სიტუაციების მართვის აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს ჯგუფები ხულოსკენ შეტყობინების მიღების შემდეგ გაემართნენ.

როგორც სამაშველო სამსახურის წარმომადგენელმა ზვიად ჯაფარიძემ აღნიშნა, ინდოელი ახალგაზრდები თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან და მათ სამაშველო სამსახურში 112-ზე დარეკეს. მისივე განმარტებით, მაშველებმა მათ მარშრუტი აუხსნეს, რის შემდეგაც უცხოეთის მოქალაქეებმა გზის პოვნა შეძლეს.

ტრაგიკული სტატისტიკა

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივით მიმართავს, რათა ტრანსპორტით ბავშვების გადაადგილებაზე უსაფრთხოების ნორმები გამკაცრდეს.

როგორც დავით მესხიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს საქართველო „დაუცველი ბავშვებით“ ხვდება. ამის დასადასტურებლად მესხიშვილმა სტატისტიკაც მოიყვანა, რომლის მიხედვითაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სხეულის დაზიანება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 20162-მა ბავშვმა მიიღო.

„ავტოსაგზაო შემთხვევებში 2014 წელს სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო 839-მა ბავშვმა, რაც 2012 წლის მონაცემებს 28 პროცენტით აღემატება. სულ კი ბოლო სამი წლის განმავლობაში სხეულის დაზიანება მიიღო 20162-მა ბავშვმა, ხოლო გარდაიცვალა 61 ბავშვი. ანუ ყოველ 24 საათში სხეულის დაზიანებას იღებს 2 ბავშვი. ეს მთლიანი სურათი აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს. განსაკუთრებით შემზარავია ბოლო პერიოდში ჩვილ ბავშვთა გარდაცვალების ფაქტების მომრავლება. უბედური შემთხვევა შეიძლება ეწოდოს სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს ბავშვთა უფლებების დასაცავად და მაინც ვიღებთ ასეთ ტრაგიკულ შედეგს. ჩვენ კი რეალობაში გვაქვს სურათი, როდესაც სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია ბავშვთა უფლებების დასაცავად, ამიტომაც სახელმწიფო უნდა გრძნობდეს დანაშაულს თითოეული ასეთი დაზარალებული ბავშვისა თუ ოჯახის მიმართ“, — განაცხადა დავით მესხიშვილმა.

„მიგვაჩნია რომ გარდაუვალი აუცილებლობას წარმოადგენს გატარდეს შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები — სავალდებულო გახდეს ყველა ავტომობილზე ბავშვის საცნობი ნიშნის განთავსება, როგორც მსუბუქ ავტომობილებზე ასევე სამგზავრო ავტოტრანსპორტზე; კატეგორიულად აიკრძალოს ბავშვთა გადაყვანა დამდგარ მდგომარეობაში; დაისაჯოს მძღოლი, თუ ის საჭეს მართავს ჩვილ ბავშვთან ერთად, რომელიც მას მოთავსებული ჰყავს კალთაში; 12 წლამდე ბავშვის გადაყვანა განხორციელდეს მხოლოდ უკანა სავარძელზე, რომელზეც იქნება დამონტაჟებული სპეციალური დამჭერი მოწყობილობა-საბავშვო სავარძელი; აიკრძალოს ბავშვის გადაყვანა მსუბუქი ავტომობილის უკანა სავარძელზე მჯდომი მგზავრის კალთაში, ვინაიდან ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ბავშვი ყვება ორმაგ პრესში; საქალაქთაშორისო ტრანსპორტით 7 წლამდე ბავშვის გადაყვანა განხორციელდეს მხოლოდ სავარძელზე დამაგრებული სპეციალური საბავშვო სავარძლით და რაც ყველაზე მთავარია საპატრულო პოლიციამ, რომელიც ბოლო პერიოდში, პრაქტიკულად, არ აღასრულებს კანონს, დააწესოს მკაცრი კონტროლი დარღვევებზე“, -განაცხადა მესხიშვილმა.

ქალბატონი გულიკო კვლავ ოთხფეხა აღსაზრდელებს დაუბრუნდება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ცხოველისგან დაშავებული ზოოპარკის მთავარი მომვლელი გულიკო ჭიტაძე მოინახულა. საყოველთაო დაზღვევამ გულიკო ჭიტაძეს

მკურნალობა ნაწილობრივ აუნაზღაურა, დარჩენილ ხარჯებს კი თბილისის მერია გაიღებს. „მან 25 წელი იმუშავა ზოოპარკში და ემსახურა ხალხს. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი მდგომარეობა უმოკლეს დროში გაუმჯობესებულიყო. ჩვენ მას თბილისის ზოოპარკში ველოდებით“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

როგორც გულიკო ჭიტაძის მკურნალი ექიმები აცხადებენ, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მისი სრული რეაბილიტაცია უახლოეს პერიოდში მოხდება. გულიკო ჭიტაძე რეაბილიტაციის შემდეგ ზოოპარკში დაბრუნებას და საქმიანობის გაგრძელებას გეგმავს. თბილისის ზოოპარკის მთავარი ძიძა-მომვლელი გულიკო ჭიტაძე 26 მაისს ვეფხვმა დაკბინა. შემთხვევა იმ მომენტში მოხდა, როდესაც ის ცხოველის ვოლიერის გისოსებთან, მომვლელების სამუშაო ზონაში იმყოფებოდა. ვეფხვებმა ვოლიერის შიგნიდან შეძლეს გისოსებს გარეთ მყოფი მომვლელის დაზიანება. გულიკო ჭიტაძე სხეულისა და კიდურების მრავლობითი დაზიანებებით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და მას ხელის ამპუტაცია ჩაუტარდა.

უმძიმესი ვითარება ახლო აღმოსავლეთში

საგანგაშო ამბები მოდის სირია-ერაყის ფრონტიდან. „ისლამური სახელმწიფოს“ „არმიამ“, წარმატებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, სირიის უძველესი ქალაქი პალმირა დაიკავა და მუსრი გაავლო მშვიდობიან მოსახლეობას, უმეტესად ქალებსა და ბავშვებს. პალმირას დაპყრობის შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ „არმია“ 240 კილომეტრით დაუახლოვდა სირიის დედაქალაქ დამასკოს.

დღეს, „ისლამური სახელმწიფო“ სირიის ტერიტორიის ნახევარს აკონტროლებს, ხოლო ერაყის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს - ნავთობის საბადოებით რომ არის ცნობილი. ტერორისტებს ბაღდადიდან 140 კილომეტრი აშორებთ.

„ისლამური სახელმწიფოს“ გეგმებში არა მარტო სირიის ხელისუფლების განადგურებაა, არამედ ერაყის დედაქალაქ ბაღდადის აღება და „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენა. ბაღდადი ხომ ისტორიული სახალიფოს დედაქალაქი იყო. ეს ყველაფერი მხოლოდ ნაწილია ამბიციური გეგმისა, რომლის მიხედვით „ისლამური სახელმწიფოს“ დაქვემდებარებაში უნდა იყოს ლიბანი, იორდანია, საუდის არაბეთი, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები.

წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში „სახალიფო“ გააგრძელებს ამბიციურ პროგრამას, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. „ისლამური სახელმწიფოს“ გეგმაში კავკასია და საქართველოც შედის, რაც თავისთავად დასაფიქრებელია არა მარტო ჩვენი ხელისუფლებისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც. ხელისუფლებას სერიოზული შრომის გაწევა მოუწევს ქვეყნის დაცვის განხორციელების მიზნით და აქედან გამომდინარე, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაც, რაც კარდინალურად ეწინააღმდეგება პოლიტიკურ მოსაზრებებს და იმ პოლიტიკურ ორიენტაციას, საქართველოს ხელისუფლებას რომ აქვს არჩეული.

„ისლამური სახელმწიფო“ სწრაფად მზარდი ტერორისტული ორგანიზაციაა, თანაც არა ქაოტურად, არამედ სისტემურად ჩამოყალიბებული, რომელთან ბრძოლაც უჭირს ომში გამოწრთობილ სირია-ერაყის არმიებს. მტკიცე დისციპლინა, რელიგიური ფანატიზმი, მოჯახედთა ფულადი ანაზღაურება, თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და სხვა მრავალი – საწინდარია იმ წარმატებისა, რასაც მან მიაღწია და მომავალში მიაღწევს.

სულაც არ მსურს „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლებლობების გაზვიადება, მაგრამ არც დაკნინება ვარგა და თან არხეინად ყოფნა. მარტო სატელევიზიო ვიშვიში ან საქართველოდან სირიაში საომრად წასული ახალგაზრდების მშობლებთან ინტერვიუები კმარა, ვითარების სერიოზულად აღსაქმელად.

„სახალიფოს“ „არმიაში“ მებრძოლი საქართველოს მოქალაქეები ნამდვილად არ გამოდგებიან საქართველოს მხსნელებად, პირიქით კი შეიძლება ვივარაუდოთ. არიან თუ არა ისინი საქართველოს საშინაო ცხოვრებით კმაყოფილნი? ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას – არა! გარდა რელიგიური ფანატიზმისა, რაც ნაკლებად დასაჯერებელია 15-18 წლის ასაკის ბავშვებში, ცუდი ყოველდღიური ყოფა, დაუსაქმებლობა, დუხჭირი ცხოვრება არის ის მაიძულებელი ფაქტორი, რამაც ხელი კრა პანკისელ, ქართლელ, აჭარელ ახალგაზრდებს „სახალიფოსკენ“. დარწმუნებული ვარ ყველა მათგანის ოცნებაა სამშობლოში ტრიუმფალური დაბრუნება, ყოფილ თანამემამულეთა თვალებში სიამაყით ჩახედვა და იმ ძალის გამოვლინება, რომლის შანსიც მათ არ ექნებოდათ იქ წასვლის გარეშე.

საქართველო, მსოფლიოს იმ რეგიონშია, რომელსაც ცოტა თუ აშორებს ახლო აღმოსავლეთის მუდამ მოგიზგიზე ცხელი წერტილისგან, თანაც მუსლიმანური სახელმწიფოებით შემოფარგლული, რომლებიც ძნელად, მაგრამ მაინც გაუძლებენ „ისლამური სახელმწიფოს“ შემოტევებს. ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც რელიგიური თვალსაზრისით საქართელოს მონათესავეა, რუსეთია, მაგრამ მასთან, მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, მესამე ძალის აგრესიაზე რომ ველაპარაკოთ.

არადა, ვითარების გამწვავების შემთხვევაში, რუსეთის გარდა საქართველოს დამცველი არავინაა. არავინაა, არა იმიტომ, რომ მიუხედავად ჩვენი ლანძღვა-გინებისა, ეს ქვეყანა შეყვარებულია საქართველოზე. საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ ფეხის მოკიდება თვით რუსეთისთვის არის სერიოზული გამოწვევა და საწინდარი ჩრდილო კავკასიის არაქრისტიანი მოსახლეობის ანტირუსული აბუნტებისა.

ჩემის აზრით, უპრიანი იქნებოდა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც ერთ ძალად შეადუღაბებდა ქართულ-რუსულ მართლმადიდებლობას, სომხურ გრიგორიანიზმს და შიიტურ ირანს საერთო საფრთხის – „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო ბერკეტის შესამუშავებლად. ვერც საქართველო და ვერც სომხეთი ცალ-ცალკე ვერ გაუძლებენ „ისლამური სახელმწიფოს“ შემოტევას. რუსეთ-ირანის დახმარებით კი ეს გაცილებით იოლი დასაძლევი იქნება. ამ კავშირში აზერბაიჯანის ჩართვა აუცილებელია, ვინაიდან ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არაერთი იატაკქვეშა ორგანიზაცია მოქმედებს, როგორც ჩვენში, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდათა გადაბირება და სირიაში საომრად გაგზავნა.

რუსეთი სწორედ ის სახელმწიფოა, რომელსაც განუწყვეტლივ ემუქრება „ისლამური სახელმწიფო“. ემუქრება, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რუსეთი მხარში უდგას სირიის ხელისუფლებას, ისე, როგორც ერაყისას. მართლმადიდებლური რუსეთი მტრად ჰყავს გამოცხადებული „ისლამურ სახელმწიფოს“, ისე, როგორც შიიტური ირანი, ასევე ბაშარ ასადის მომხრე და დამხმარე.

> **„სიმართლე იმდენად ძვირფასია, რომ მას ყოველთვის თან უნდა ახლდეს სიცრუის დამცველები“.**
>
> **უინსტონ ჩერჩილი**

რუსეთ-ირანის სამხედრო ტანდემი უნდა გამოიყენოს საქართველომ თავის დასაცავად. სხვა დამცველი, არც ახლო სამეზობლოში და არც შორეულში, არ მოიძებნება. ვიღაც იკითხავს თურქეთიო? თურქეთს სხვა რამ აღელვებს, მეტადრე რეგიონის ლიდერობა და ბაშარ ასადის დამხობა. ამ შემთხვევაში ის უფრო იქითაა გადახრილი, ვიდრე აქეთ.

ა.წ. თებერვალ-აპრილში ჩამოყალიბდა ანტიასადური სამკუთხედი - თურქეთის, საუდის არაბეთისა და ყატარის შემადგენლობით. სირიის ჩრდილოეთით შეიქმნა სამთა სამხედრო კავშირის ორგანიზაცია. მას „ჯებხატ ფათეხი“ დაერქვა. ეს ორგანიზაცია არა მარტო სამხედრო ოპერაციებს უწევს კოორდინაციას, არამედ „ბოევიკებს“ შორის ნადავლის განაწილებას, მათთვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევას.

„ჯებხატ ფათეხის“ შტაბ-ბინა ქ.იდლიბშია და მჭიდრო კონტაქტშია ისლამურ ორგანიზაციებთან - „ჯებხატ ან ნუსრასთან“, „ახრარ აშ-შამთან“, სხვებთან.

სამთა კავშირში ფუნქციები შემდეგნაირადაა განაწილებული: საუდის არაბეთი – ფინანსები და იარაღის მიმწოდებელი; ანკარა – შტაბის მუშაობა, დაზვერვა, ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა თურქეთმა გამოჰყო ტერიტორია, სადაც მომზადებას გადიან „ისლამისტთა არმიის“ მებრძოლები. მათ თურქი სამხედრო ოფიცრები წვრთნიან. თურქეთი ახორციელებს თურქეთ-სირიის საზღვრიდან, სირიის ტერიტორიაზე იარაღისა და გაწვრთნილი მეომრების შეგზავნას. ყატარი გამოდის მეორე დამფინანსებლის როლში, ამასთანავე ყატარელი ოფიცრები წვრთნიან ისლამისტებს.

რაც შეეხება აშშ-ს, ის, თურქეთისა და იორდანიის ტერიტორიებზე წვრთნის ნაკლებად რეაქციულ „ბოევიკებს“. გასულ წელს ამ პროგრამის განსახორციელებლად აშშ-მა დახარჯა 500 მილიონი დოლარი. და მოამზადა 400-ზე მეტი „ბოევიკი“. ამერიკული პროგრამის მიხედვით, 2017 წლისთვის 15000 „ბოევიკი“ უნდა მომზადდეს.

თუ აშშ ადმინისტრაციისთვის ბაშარ ასადის ჩამოგდება ისეთი აქტიური აღარ არის, როგორც ადრე იყო, საუდის არაბეთის, თურქეთისა და ყატარისთვის – ეს სტრატეგიული მნიშვნელობისაა. თუ სამეულმა დასახული მიზანი განახორციელა, ფაქტის წინაშე დადგება აშშ და, რაც მთავარია, შესუსტდება ირანის მზარდი გავლენა რეგიონში. ასადის დამხობის შემდეგ, საუდის არაბეთს შეეძლება ძალთა კონცენტრაცია რეგიონში შიიტური ძალების წინააღმდეგ – ჯერ იემენში, შემდეგ კი – თვით ირანში.

სამკუთხედის გეგმით, ბაშარ ასადი წლის ბოლოს უნდა დაემხოს, რისთვისაც დასაწყისში თურქეთმა უნდა დააწესოს „არასაფრენი ზონა“ სირიის ჩრდილოეთში 300 კილომეტრის სიღრმეზე, შემდეგ დაიწყოს შეტევა ალეპოზე, ლატაკიაზე, ტარტუსსა და ბანიაზე, სამხედრო ავიაციის თანხლებით, არტილერიის გამოყენებით. პარალელურად განახორციელოს სამხრეთის შეტევა, რათა დამასკო მოწყვიტოს ლიბანს. დამასკოში შედის ყატარის „სპეცნაზი“, აგრეთვე „ისლამისტების“ არმია. ბაშარ ასადი ირანში გაიქცევა, ხოლო „ჰესბოლა“ და ირანელი ინსტრუქტორები დატოვებენ სირიას.

სამკუთხედი ვარაუდობს, რომ ირანი და რუსეთი ომში არ ჩაერთვებიან. დასავლურმა პრესამ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ქერის სოჭში ვიზიტის დროს, თითქოს შედგა გარიგება – სირიის დათმობით, ყირიმის რუსეთის კუთვნილებად აღიარება.

ოფიციალურმა რუსეთმა კატეგორიულად უარყო გარიგება. მოლაპარაკებაში მონაწილე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რიაბკოვმა განაცხადა, რომ გეოპოლიტიკური გარიგება უკრაინისრიის კონფლიქტთან დაკავშირებით არ მომხდარა. “მოსკოვს უკრაინა-სირიის საკითხებში აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელიც არც კონიუნქტურულია და არც რაღაც „გასაცვლელი მონეტა“.

„ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო წარმატებებმა, სირიისა და ერაყის ჯარების მარცხმა, სერიოზული საფიქრალი გაჩინა, უპირველესად ის, რომ სირია-ერაყს ძალა არ შესწევთ საკუთარი პოზიციების დაცვისთვის. დღეს უკვე აღარ მოქმედებს პატრიოტული მოწოდება – დავიცვათ სამშობლო. სირიის ხელისუფლება – თითქმის ყოველი მხრიდან შეტევის მომგერიებელი, გადაიღალა გამუდმებული ომისგან, ღალატისა და ფლიდობისგან. მიწასთან გასწორებული, ერთ დროს აყვავებული ქალაქები, ჩონჩხებადაა ქცეული, მოსახლეობისგან დაცლილი და განადგურებული.

არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა ერაყში, რომელსაც მინიმუმ სამ ნაწილად ემუქრება დაშლა – სუნიტურ, შიიტურ და ქურთულ ნაწილებად. მსგავსი რამ ემუქრება სირიასაც. ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკურ ძვრები მოხდება, არცთუ სასარგებლო და სამშვიდობო, რაც თავისთავად იმოქმედებს მსოფლიო პოლიტიკაზე.

ყოველივე აღნიშნულს კი სათავე აშშ-მა დაუდო, ერაყში შეჭრით, სადამ ჰუსეინის დამხობით და მისი ჩამოხრჩობით. ეს იყო დასაწყისი იმ უდიდესი ტრაგედიისა ახლო აღმოსავლეთში.

ა.წ. 16 მაისს ერთ-ერთ ღონისძიებაზე გამოსვლის დროს, ირანში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატების დასწრებით, ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერმა აიათოლა ხამენეიმ განაცხადა: „დღეს, მსოფლიო ისლამს მრავალი პრობლემა აქვს. შეხედეთ ისლამური ქვეყნების მდგომარეობას ჩვენს რეგიონში: პაკისტანი, ავღანეთი, სირია, ლიბანი, პალესტინა, იემენი, ლიბია. ისლამურ ქვეყნებს დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, არანაკლები პრობლემები აქვთ, ესენია: უსაფრთხოება, ძმათამკვლელობა, იმათი დომინირება, ვინც არაფერი იცის ღმერთის შესახებ. ამის უკან დგას დიდი სახელმწიფოების ამბიციური ინტერესები, ამ ქვეყნებს აშშ-ი ხელმძღვანელობს. ისინი აკეთებენ ყველაფერს თავიანთი უზნეო სურვილების დასაკმაყოფილებლად. ისინი კლავენ უდანაშაულო ადამიანებს, მხარს უჭერენ დამნაშავე ორგანიზაციებს. მათი პროპაგანდა ფართომასშტაბიანია.

ჩვენთვის კარგად ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „სიმართლე იმდენად ძვირფასია, რომ მას ყოველთვის თან უნდა ახლდეს სიცრუის დამცველები“.

დღეს, ამერიკელები ამტკიცებენ, რომ უნდათ ებრძოლონ ტერორიზმს. და ეს მაშინ, როდესაც თვით შექმნეს ყველაზე სახიფათო ტერორისტული დაჯგუფებები. ვინ შექმნა „ისლამური სახელმწიფო“? ისინი ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ ორგანიზაციის შექმნაში. ვინ მიმართა ეს და სხვა ორგანიზაციები სირიისა და ერაყის წინააღმდეგ? საიდან აქვთ ამ დამნაშავეებსა და მკვლელებს ტყვიები, იარაღი, დოლარები? საიდან აქვთ ფული? ვინ არის ის ხალხი, ვინც ეხმარება ამ მრავალრიცხოვან და საშიშ ტერორისტულ დაჯგუფებებს?

როდესაც შევხედავთ რეგიონს, დავინახავთ მტრების თითების ანაბეჭდს, რომლებმაც შექმნეს ტერორიზმი. ვინ ეხმარება ცრუ სიონისტურ რეჟიმს, რომელიც მასირებულ ზეწოლას ახორციელებს პალესტინელებზე ღაზის სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე? ვინ ეხმარება მას? ვინ დგას მის უკან? – დასავლეთის სახელმწიფოები, აშშ-ს მეთაურობით. და ეს მაშინ, როდესაც ისინი ამბობენ, რომ არიან ტერორიზმის წინააღმდეგნი. ისინი ცრუობენ. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ტერორიზმს. ჩვენ ვიბრძოდით ტერორიზმის წინააღმდეგ. ჩვენ პირისპირ ვიდექით ტერორიზმთან. ირანელმა ხალხმა კუდით ქვა ასროლინა ტერორიზმს. და ის მუდამ ასე მოიქცევა“.

აიათოლა ხამენეის გამოსვლა პირდაპირი მხილება იყო აშშ-ის და მისი პოლიტიკისა ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ. ამ პოლიტიკის შესახებ დღეს ბევრი იწერება, მაგრამ დიდი ქვეყანა აინუნშიც არ აგდებს ამას.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

კრედიტის/სესხის № **IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
პროექტის **N** P130413
დავალების სახელწოდება: სატენდერო დოკუმენტაციისა და პროექტის მომზადება E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი–რუისის მონაკვეთი კმ28 – კმ94) საგზაო უსაფრთხოების და მისასვლელი გზების გაუმჯობესებისათვის.

კონტრაქტი/ RFP # EWHIP-4/CS/CQS-02
საიდენტიფიკაციო # EWHIP-4/CS/CQS-02

საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"სატენდერო დოკუმენტაციისა და პროექტის მომზადება E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი–რუისის მონაკვეთი კმ28 – კმ94) საგზაო უსაფრთხოების და მისასვლელი გზების გაუმჯობესებისათვის"**.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 100 დღე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი. წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვების საფუძველზე, შედგენილი იქნება მოკლე სია და ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონსულტანტს ეთხოვება ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენა.

კონსულტანტის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს გზების პროექტირების გამოცდილება, ამასთანავე სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების და საგზაო უსაფრთხოების შემოწმების და ანალიზის ჩატარების გამოცდილება.

შერჩევის კრიტერიუმებია:
- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი დავალებების შესრულების გამოცდილება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (მაგ. დეტალური პროექტის მომზადება საგზაო ინფრასტრუქტურისთვის);

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2015 წლის 16 ივნისის 15:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის უფროსი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ტელ: +995 322 37-05-08, დამ.218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელექტრონული ფოსტა: nfo@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Forth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413

Assignment Title: THE PREPARATION OF DESIGN AND BIDDING DOCUMENTS FOR ROAD SAFETY IMPROVEMENTS AND ACCESS ROADS OF THE EXISTING E-60 HIGHWAY (Km28-Km94 NATAKHTARI-RUISI SECTION)

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-02
Reference No. EWHIP-4/CS/CQS-02

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"THE PREPARATION OF DESIGN AND BIDDING DOCUMENTS FOR ROAD SAFETY IMPROVEMENTS AND ACCESS ROADS OF THE EXISTING E-60 HIGHWAY (Km28-Km94 NATAKHTARI-RUISI SECTION)"**.

Estimated duration of assignment is 100 days.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:
The Consultant must have experience in designing of roads projects, including preparation of Bidding Documents, as well as in conducting road safety inspection and analysis.

Shortlisting criteria:
- General experience in road infrastructure consultancy assignments;
- Similar experience within the last 5 years (i.e. preparation of detailed design for road infrastructure);

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **June 16, 2015, 15:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ ჭადრაკი

ბაციაშვილს ვერცხლის მედალი ერგო

ჩაქვში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-16 ჩემპიონატი, რომელშიც 19 ქვეყნის 98 მოჭადრაკე მონაწილეობდა შვეიცარიული სისტემით 11 ტურად. შესანიშნავად ითამაშა საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა და 2015 წლის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულმა, ბათუმელმა ნინო ბაციაშვილმა. 9 ტურის განმავლობაში იგი ლიდერობდა. მე-10 ტურში ჩვენებური დამარცხდა უკრაინელ დიდოსტატ ნატალია ჟუკოვასთან. ამ უკანასკნელმა 2000 წელს ბათუმში ევროპის ქალთა პირველი ჩემპიონატი მოიგო. ჟუკოვამ ბოლო ტურში სომეხ ელინა დანიელიანსაც სძლია და 9.5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ბაციაშვილმა შავი ფიგურებით ალექსანდრა გორიაჩკინა დაამარცხა, მოაგროვა 9 ქულა და ვერცხლის მედალს დასჯერდა, თანაც რეიტინგი 26 პუნქტით გაიმდიდრა და ვაჟთა შორის დიდოსტატის ნორმატივიც შეასრულა (ჩვენებურთაგან 2013-2014 წლებში ევროპის ჩემპიონატებზე სალომე მელიამ დაისაკუთრა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, 2000 წელს მაია ჩიბურდანიძემ, 2001 წელს კი ქეთევან არახამიამ დაიკავეს მესამე ადგილები). ჩაქვში 8 ქულით ბრინჯაოს მედალი რუს ალინა კაშლინსკაიას ერგო, რომელმაც ბოლო ტურში ევროპის ექსჩემპიონი ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) დაამარცხა.

ევროპის ჩემპიონატზე პირველმეთოთხმეტე ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს. ესენი არიან: 1. ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 9.5), 2. ნინო ბაციაშვილი (საქართველო, 9), 3. ალინა კაშლინსკაია (რუსეთი, 8), 4. ელინა დანიელიანი (სომხეთი, 7.5), 5. მარინა გუსევა (რუსეთი, 7.5), 6. ოლგა გირია (რუსეთი, 7.5), 7. მონიკა სოჩკო (პოლონეთი, 7.5), 8. სალომე მელია (საქართველო, 7.5), 9. ინა გაპონენკო (უკრაინა, 7.5), 10. ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი, 7), 11. ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი, 7), 12. ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 7), 13. ალისა გალიამოვა (რუსეთი, 7), 14. ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 7). ჩემპიონატზე დაწესებული სოლიდური ფულადი პრიზი — 60.000 ევრო ადგილების მიხედვით ასე განაწილდა: **I ადგილი — 11.000 ევრო, II — 9.000, III — 7.000, IV — 5.500, V — 4.000, VI — 3.000, VII - 2.500, VIII — 2.250, IX — 2.000, X — 1.750, XI — 1.600, XII — 1.500, XIII — 1.400, XIV — 1.300, XV — 1.200, XVI — XX ადგილები — 1.000-1.000 ევრო.**

ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში საქართველოს 28 წარმომადგენელი ჩაება. 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე მამის მძიმე ავადმყოფობის გამო მე-4 ტურიდან გამოეთიშა შეჯიბრებას, 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი ლელა ჯავახიშვილი კი საკუთარმა ჯანმრთელობამ დააღალატა და ნაადრევად დატოვა ტურნირი. მირანდა მიქაძემ ქალთა შორის დიდოსტატის, ხოლო ალექსანდრა ვახანიამ და მერი ჟორჟოლიანმა საერთაშორისო ოსტატის ნორმები შეასრულეს.

გუშინ ქუთაისში მოჭადრაკე ქალთა ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატი დაიწყო სწრაფ ჭადრაკში (15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით). შეჯიბრება 3 ივნისს დამთავრდება.

ლექსო ციინცაძე

სურათზე: ნინო ბაციაშვილი.

მეორე ადგილით დაკმაყოფილდა

სანკტ-პეტერბურგის მახლობლად კირიშში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ვანია სომოვის მე-13 მემორიალი — „მსოფლიოს მოზარდი ვარსკვლავები“. შეჯიბრებაში რუსეთის, საქართველოს, ბელარუსის, გერმანიის, ჩეხეთის, ისრაელისა და აზერბაიჯანის 12 წარმომადგენელი დაუპირისპირდა ერთმანეთს წრიული სისტემით. ქართველმა მოჭადრაკე გიორგი სიბაშვილმა 5 შეხვედრა მოიგო (დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი კირილ კაზიონოვი, სემიონ ხანინი, არიელ ფრენბერგი, აბდულა გადიმბაილი და სვეტლანა ტიშოვა), ამდენივე ორთაბრძოლა ზავით დაასრულა და მხოლოდ ერთი პარტია დათმო ჩეხ მატიას მარეკთან, საბოლოოდ 11 შესაძლებლიდან 7.5 ქულა მოაგროვა და მე-2 ადგილი დაიკავა. 8 ქულით მთავარი პრიზი საერთაშორისო ოსტატმა მაქსიმ ჩიგაევმა მოიპოვა. 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები კირილ კაზიონოვმა და ანდრეი ესპენკომ გაიყვეს.

ლაშა დიდია

სურათზე: გიორგი სიბაშვილი.

◎ ფეხბურთი

ასე ვერ გავფრინდებით

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა ლუკა ზარანდიამ პირველად პარტნიორები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე დააღალატა, როცა მისი ტალანტისთვის შეუფერებელი საქციელით მსაჯებს ყვითელი ბარათების კონა დასტყუა და ამ მიზეზით ელიტ-რაუნდის სასტარტო შეხვედრა გამოტოვა ესპანელებთან.

მართალია, ჯგუფის ფავორიტთან დავმარცხდით — 1:4 (თევზაძე), მაგრამ გუნდის ლიდერის გარეშე მოთამაშე ჭაბუკი „ჯვაროსნები“ ღირსეულად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, რამაც მათი ქომაგები იმედიანად განაწყო პორტუგალიელებთან მეორე ტურის მატჩის წინ, მაგრამ...

მას შემდეგ, რაც პირენეელებმა სტარტზე თურქები გაანადგურეს — 6:1, მასპინძლები მათთან ბრძოლაში გამარჯვების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ — ფინალური ტურნირის ერთადერთი საგზურის მოსაპოვებლად შანსს მათ მხოლოდ მოგება უნარჩუნებდა.

თითქოს ჩვენი პრობლემები არ გვყოფნიდეს, რუმინელმა შაოსანმა სანდუმ მე-4 წუთზევე გამოგონილი პენალტით დაგვსაჯა და მეტოქეს სოლიდური ფორა „უფეშქაშა“ — 0:1. სხვათა შორის, ეს კარპატელი ახალგაზრდა შემდგომშიც ძირითადად სტუმართა სასარგებლოდ უსტვენდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც საბოლოო შედეგი — 2:3 (მალანია, გოშთელიანი). კიდევ უფრო აღმაშფოთებელია გიორგი დევდარიანის ანსამბლის წამყვანი სოლისტის მორიგი უზრდელობა — ემოციურ ცაიტნოტში ზარანდიამ მეტოქეს ბურთი ესროლა(!) და სანდუს თავი მინდვრიდან გააძევებინა.

ასე რომ, თუ დიდი ფეხბურთის თამაში უნდა, ლუკამ უპირველესად, საკუთარი ნერვული სისტემა უნდა მოთოკოს, თორემ ნიჭი რომ არ აკლია, ამაზე არავინ დავობს.

ესპანეთი — თურქეთი 5:0.

ესპანეთი, პორტუგალია — 6-6, საქართველო, თურქეთი — 0-0 ქულა.

ხვალ ვაკეში 17 საათზე ითამაშებენ: საქართველო — თურქეთი, ესპანეთი — პორტუგალია.

გიორგი შოთაძე

◎ ვულოცავთ!

ეროვნული სულის გუშაგი

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75-ე წლისთავს ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეს, სენაკის რაიონის ყოფილ პრეფექტს ბატონ ბათუ კანკავას, უსურვებს მას დღეგრძელ სიცოცხლეს და ბედნიერებას თავის დიდ ოჯახთან ერთად.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უერთდება ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მილოცვას, რადგანაც კარგად იცნობს სიკეთით, სიბრძნით და ვაჟკაცობით გამორჩეულ ბათუ კანკავას განვლილი ცხოვრების გზას, სამეგრელოში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ღირსეულ მხარდამჭერს და სენაკის რაიონის მრავალათასიანი მოსახლეობის ლიდერს, ალექსანდრე კანკავას შესანიშნავი ოჯახის შვილს, ჩენი გაზეთის უერთგულესი მეგობრის და ავტორის ვლადიმერ კანკავას უფროს ძმას.

ბოლომდე მხნედ და ვაჟკაცურად გევლოთ, ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტო რაინდო და ჭირისუფალო!

გფარავდეთ ღმერთი!

◎ ჩოგბურთი

გორგოძეს - მთავარი პრიზი

თბილისელმა ეკატერინე გორგოძემ წარმატებით იასპარეზა სლოვენიურ მარიბორში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირზე. წყვილებში იგი მასპინძელ ნასტია კოლარისთან ერთად გამოდიოდა. პირველ ნომრად განთესილმა ქართულ-სლოვენიურმა დუეტმა მეოთხედფინალში ანა კლასენსა (გერმანია) და ზუზანა ლუკნაროვას (სლოვაკეთი) აჯობა — 7:6, 6:1, ნახევარფინალში ლენკა კუნჩიკოვასა და კაროლინა სტუჩლას (ორივე — ჩეხეთი) ტანდემს სძლია — 6:1, 4:6, 6:1, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში პეტრა კრეიშოვა-კატერინა ვანკოვას ჩეხური დუეტი ჩამოიშორა გზიდან — 6:2, 6:4 და მთავარი პრიზი მოიპოვა. ერთეულებში გორგოძემ მეოთხედფინალური შეხვედრა დოროთეა ერიჩთან (სერბეთი) წააგო — 3:6, 2:6.

გივი გაგუა

სურათზე: ეკატერინე გორგოძე (მარცხნივ) და ნასტია კოლარი.

◎ ხელბურთი

გენერალური რეპეტიცია

როგორც მოგეხსენებათ, შაბათს ბერლინი ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმასპინძლებს „ბარსელონასა“ და „იუვენტუსს“შორის.

მომავალი საფეხბურთო სპექტაკლის ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად შეგვიძლია მივიჩნიოთ გერმანიაშივე გამართული ხელბურთელ ვაჟთა ანალოგიური ტურნირის დასკვნითი აკორდი „ბარსელონას“, უნგრული „ვესპრემის“, პოლონური „ვივე კელცესა“ და ადგილობივი „კილის“ მონაწილეობით, რომელიც კატალონიელთა ტრიუმფით დასრულდა. გადამწყვეტ ბრძოლაში ამ უკანასკნელებმა ფრანგი ბომბარდირის ნიკოლა კარაბატიჩის ძალისხმევით (6 გოლი) მადიართა კლუბი დაჯაბნეს — 28:23 და მერვედ(!) ავიდნენ ევროპულ ოლიმპზე.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფაქტი

ბლატერმა კვლავ მოიგო!

ციურიხში ფიფას 64-ე კონგრესზე მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. პირველი რაუნდისას 206 ამომრჩევლიდან ზეპ ბლატერმა 133 ხმა მიიღო, მისმა კონკურენტმა იორდანიის პრინცმა ალი ჰუსეინმა კი — 73.

საარჩევნო წესდების თანახმად პირველ რაუნდში გამარჯვებულმა პირმა ხმათა 2/3 უნდა მოაგროვოს, ბლატერს კი 7 ხმა დააკლდა. ამის შემდეგ დაინიშნა მეორე ტური, თუმცა ალი ჰუსეინმა კანდიდატურა მოხსნა და ავტომატურად გამარჯვებული ბლატერი გახდა.

ჰუსეინმა კანდიდატურის მოხსნის შემდეგ დელეგატებს მოუწოდა ჩაეხედათ საკუთარ სინდისში და სამომავლოდ ფიფაში უმსგავსობები არ დაეშვათ.

79 წლის იოზეფ ბლატერი ფიფას პრეზიდენტად პირველად 1998 წელს აირჩიეს და მას შემდეგ ინარჩუნებს პოსტს. შვეიცარიაში გამართული კონგრესის შემდეგ კი მისი საპრეზიდენტო ვადა 4 წლით გახანგრძლივდა.

კოგა კოგახიძე

◎ ყოფა

სპეკულაციური ინვესტიციები უმუშევრობისა და ღარის დევალვაციის საფუძველია

მიუხედავად ტექნოლოგიური შედეგების მიღწევებისა, საწარმოო ძალების განმსაზღვრელ ფაქტორად მაინც ადამიანი რჩება. აქედან გამომდინარე, დაბანდებული კაპიტალი პირდაპირ კავშირშია დასაქმებულთა რაოდენობასთან. მაგრამ ეს ჩვენთან სხვაგვარადააო, აღნიშნავენ ეკონომიკის სპეციალისტები, ექსპერტები და ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, 2005 წელს ქვეყანაში განხორციელდა 450 მილიონი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია, 2006-ში — 1 მილიარდ 190 მლნ-ის, 2007-ში — 2 მლრდ 044 მლნ დოლარის. მომდევნო წელს ინვესტიციების სახით შემოვიდა 1 მლრდ 564 მლნ დოლარი, 2009-ში — 660-მლნ, 2010-ში — 814 მლნ. დოლარი, 2011-ში პირდაპირი ინვესტიციების სახით საქართველოში შემოვიდა 1 მლრდ 817 მლნ-ის ინვესტიცია. ნაციონალების ზეობის ბოლო, 2012 წელს 911 მლნ-ის ინვესტიცია შემოვიდა. შემოსვლა ინვესტიციებს არც 2013 წელს შეუწყვეტიათ — 914 მლნ დოლარი. გასული წელი კი რეკორდული იყო ომის შემდგომ — 1 მლრდ 272 მლნ დოლარი. საერთო ჯამში ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების სახით შემოვიდა 10 მლრდ 909 ამერიკული დოლარი.

ეკონომისტების გათვლებით ერთი სამუშაო ადგილის შესაქმნელად საჭიროა 25-30 ათასი ლარის ინვესტიცია. 10 წლის განმავლობაში ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა ჩვენში 388 ათასიდან 535-მდე გაიზარდა (147 ათასით), 11მილიარდი დოლარის შემთხვევაში კი ის 440 ათასი კაცით უნდა გაზრდილიყო (მინიმუმ). თუ 147 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას უხეში გათვლებით, 3,6 მილიარდი დოლარი დასჭირდა, სად გაქრა დანარჩენი 300 ათასის შესაქმნელი 7,4 მილიარდი? კითხულობენ ექსპერტები და დასმულ შეკითხვას თავადვე უპასუხებენ: როდესაც პირდაპირი ინვესტიცია შემოდის, ინვესტორი ცდილობს, შექმნას სამუშაო ადგილები, შესაბამისად ეს აისახება დასაქმების მაჩვენებელში; მაგრამ, თუ ინვესტორი უძრავ ქონებას შეიძენს, დამატებით ინვესტიციებს არ განახორციელებს, ყველაფერს დააკონსერვებს და სამუშაო ადგილების შექმნით აღარ დაინტერესდება.

აკადემიკოს აპოლონ სილაგაძის აზრით, საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციები ძირითადად მოკლევადიან სამუშაო ადგილებს ქმნის. ამას ემატება ჩვენი სტატისტიკის არარეალურობა, რადგანაც აღინიშნება მოსახლეობის ნაწილის დასაქმება, მაშინ, როდესაც არსებული მეთოდოლოგიით, ეს ადამიანები, ისედაც იყვნენ დასაქმებულნი მონაცემთა ბაზაში.

კოლეგის მოსაზრებას განავრცობს გიორგი თავაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ წლების განმავლობაში ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი იყო არა პირდაპირი, არამედ სპეკულაციური კაპიტალდაბანდებები. ხდებოდა კონკრეტული ობიექტების აქტივების ყიდვა და მათი მალევე გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში, ამბობს ეკონომისტი, ხდება მხოლოდ მფლობელის შეცვლა, შემდგომში კაპიტალდაბანდებებისა და დასაქმებულთა რაოდენობის უმნიშვნელო ზრდით (ან მის გარეშე). ხშირად ამ პროცესებს თან ახლავს არა დაქირავებულთა ზრდა, არამედ პირიქით, ე.წ. „ოპტიმიზაცია“, რასაც თან სდევს მოსამსახურეთა განთავისუფლება, მასობრივი შემცირებები.

სპეკულაციური კაპიტალდაბანდებების თვალსაჩინო მაგალითად სპეციალისტებსა და ექსპერტებს მოჰყავთ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, ბათუმის პორტის, ფოთის ტერმინალის, „მადნეულის“, ჭიათურის „მანგანუმის“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და მსხვილი, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მაგალითები. საქმესთან შეხების მქონენი იმასაც ამბობენ, რომ მთავრობის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა პირადი დაინტერესების გარეშე არ მოხდებოდა მოქმედი ძვირად ღირებული ობიექტების „თბილსრესის“, „თელასის“, „ვარციხეჰესის“ კასკადების, ჰიდროელექტროსადგურებისა და მრავალ სხვათა შემთხვევები.

ექსპერტი გია ხუხაშვილი თვლის, რომ მთელი ამ პერიოდის (10 წლის) განმავლობაში ხელისუფლების სტრატეგია მხოლოდ ინვესტიციების სახით „ქეშის“ თვლა იყო. არ ფიქრობდა რა ინვესტირებას დასაქმების, სოციალური რისკების, თუნდაც ეკონომიკური გრძელვადიანი სტაბილურობის თვალსაზრისით. ინვესტირებას მაშინ აქვს ეფექტი, როდესაც ფული ქვეყნის შიგნით დამატებით ღირებულებას ქმნის, ეკონომიკაში ბრუნავს.

სპეციალისტები აანალიზებენ რა ინვესტირების უმოქმედობის მიზეზს, ამტკიცებენ, რომ ერთი ხელიდან მეორეში გადასული ფული ეფექტის მომტანი ვერ იქნებოდა. წინა ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა, ცხადია, არ მიმართავდა სტრატეგიას ადგილობრივ წარმოებასა და იმპორტს შორის თანაფარდობის შეცვლელად. გამოდიოდა, რომ ქვეყანაში შემოსული ინვესტორები სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ არა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. თითქოს ეკონომიკაში ფული ბრუნავდა, იქმნებოდა კეთილდღეობის ვირტუალური სურათი, მაგრამ სოციალური რისკი უცვლელი რჩებოდა. ამ ფულის დამატებით ღირებულებაში კონვერტაცია ვერ მოხერხდა, ირწმუნებიან სპეციალისტები, ექსპერტები, ეკონომისტები და ამჟამინდელ ხელისუფლებას მოუწოდებენ, მოზიდული ინვესტიციები სამუშაო ადგილების შესაქმნელად გამოიყენონ და მათი წინამორბედების მსგავსად არ დაკავდნენ უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით. ყველანი ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ 10 წლის განმავლობაში შემოსული 11 მილიარდი რომ ქვეყნის ეკონომიკას მოხმარებოდა, ლარი ყავარჯნებზე არ დადგებოდა, ხოლო ეკონომიკური ზრდის პროცენტი 5 კი არა, ორჯერ 5 პროცენტი იქნებოდა.

ზაზა ბილიხოძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს ლევან კლიმიაშვილს დედის

ქეთევან გარსიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი და სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ ლევან კლიმიაშვილის დედა, მედიცინის დარგის დამსახურებული მუშაკი, ათეული წლების მანძილზე კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის გამგე, საქართველოს ექიმ-ლაბორანტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, უკეთილშობილესი ქალბატონი, პროფესორი

ქეთევან გარსიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანა ფანცხავა, დენიტა ბიბილეიშვილი, ნანა ჯუღელი, ლია ნიკურაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან გარსიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია უსამძიმრებს დიდ მწუხარებაში მსოფლიო ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მიხეილ სალაძეს ძვირფასი

დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს გამოჩენილ სპორტსმენსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ სალაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ მიხეილ, ედისონ, გულიკო, თამარ სალაძეებს დედისა და დედამთილის

თამარ ვლადიმერის ასულ კობაიძე-სალაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ზაირა პატეიშვილი, შვილები დავით, ქეთევან, ნინო გუჯაბიძეები, რძალი ნანა სიმონიშვილი, სიძეები მამუკა ფარესიშვილი, ნიკოლოზ ნამიჭეიშვილი, შვილიშვილები ეკა, ჯიმშერ, ბექა გუჯაბიძეები, მერაბ, გიორგი, ლევან ფარესიშვილები, თორნიკე, მირანდა ნამიჭეიშვილები, რძალი ზიზი ცხადაძე, სიძე ვალერი კოლოსოვი, შვილიშვილის შვილი ანდრია გუჯაბიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯიმშერ ბათლომეს ძე გუჯაბიძე

გამოსვენება 2 VI, 14 სთ. მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №70.

◎ გზა შრომით გაიკვლიეს

მილიარდერები, რომელთაც სკოლა არ დაუმთავრებიათ

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა ადამიანმა ამანსიო ორტეგამ სკოლაში სწავლა 13 წლის ასაკში გაჭირვების გამო მიატოვა

ბილ გეითსი, სტივ ჯობსი, მარკ ცუკერბერგი — ეს ის მილიარდერები არიან, ვისაც საქვეყნო აღიარებისთვის არც უმაღლესი განათლება დასჭირვებია და მაგისტრის დიპლომი. პირიქით, სამივე მათგანმა უნივერსიტეტებში სწავლა თავის დროზე ბიზნესის გამო მიატოვა.

თანამედროვე მილიარდერებსა და მილიონერებს შორის არიან ისეთებიც, ვისაც სასკოლო განათლებაც კი არ აქვს. ბევრმა მათგანმა მოზარდობისას სკოლაზე უარი გაჭირვების გამო თქვა და ოჯახის დახმარების მიზნით, სამსახურის ძებნა დაიწყო.

ამანსიო ორტეგა

„ფორბსის“ 2015 წლის მონაცემებით, კომპანია „ინდიტექსის“ დამფუძნებლის ქონება 66,4 მილიარდ დოლარს შეადგენს. „ზარას“, „მასიმო დუტისა“ და „ოიშოს“ ბრენდების მფლობელმა სკოლაში სწავლას 13 წლის ასაკში დაანება თავი. ოჯახი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდა — მამა რკინიგზაში მუშაობდა, დედა კი მოახლე იყო და შვილების გამოსაკვები ფული არ ჰყოფნიდათ. თავდაპირველად, მომავალმა მილიარდერმა ერთ-ერთ ადგილობრივ მკერავთან კურიერად დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი საგალანტერიო მაღაზია La Maja-ში გადავიდა სამუშაოდ. „ზარას“ პირველი მაღაზია ამანსიო ორტეგამ მეუღლესთან ერთად 1975 წელს გახსნა.

ლი კაშინი

აზიის ყველაზე მდიდარი ადამიანი მასწავლებლების ღარიბ ოჯახში დაიბადა. 14 წლის ლის მამა ტუბერკულოზით გარდაიცვალა, რის გამოც ბიჭი იძულებული იყო სკოლა მიეტოვებინა და სამსახურის ძებნა დაეწყო. თავდაპირველად ლი კაშინი მაჯის საათის ქამრებს ჰყიდდა, შემდეგ კი ქარხანაში დაიწყო მუშაობა. აზიელი მილიარდერი დღეში 16 საათს მუშაობდა და შვიდი წლის განმავლობაში საკუთარი ბიზნესის წამოსაწყები ფულიც დააგროვა. დღეს ლი კაშინის ქონება 33,5 მილიარდი დოლარია.

ფრანსუა პინო

78 წლის ფრანგმა ბიზნესმენმა სკოლაში სწავლას 11 წლის ასაკში დაანება თავი და მამის სამხერხაოში დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით, ფრანგი მილიარდერი გამოტყდა, რომ სკოლაში სიარულზე უარი კლასელების გამო თქვა, რომლებიც ფრანსუა პინოს დაბალი ფენის წარმომავლობისთვის აბუჩად იგდებდნენ. მილიარდერისვე თქმით, მისი განათლების დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი მართვის მოწმობაა. დღეს ფრანსუა პინო გუჩის, სტელა მაკკარტნისა და ივ სენ ლორანის მოდის სახლების მფლობელია. მისი ქონება კი 14,8 მილიარდ დოლარს შეადგენს.

რიჩარდ ბრენსონი

ინგლისელი ბიზნესმენი და ინვესტორი, რომელიც ცნობილია თავისი ეპატაჟურობით, 16 წლის ასაკში გამოაგდეს სკოლიდან ხშირი გაცდენებისა და ცუდად სწავლის გამო. „მშვიდობით, რიჩარდ. შენ ან ციხეში მოხვდები, ან საოცრად გამდირდები“, — გაიხსენა სკოლის დირექტორის სიტყვები თავის ერთ-ერთ ბლოგში რიჩარდ ბრენსონმა. Virgin Group-ის დამფუძნებლის ქონება, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 400 კომპანიას აერთიანებს, „ფორბსის“ მონაცემებით 4,8 მილიარდი დოლარია.

კვენტინ ტარანტინო

ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა სკოლა 15 წლის ასაკში მიატოვა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებამდე ერთ-ერთ კინოთეატრში კარისკაცად დაიწყო მუშაობა. ჟურნალ People With Money-ს მონაცემებით, კვენტინ ტარანტინო 2015 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი რეჟისორია, მისი ქონება კი რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს შეადგენს.

ვიდალ სასუნი

ბრიტანელმა პარიკმახერმა, ბიზნესმენმა და ფილანთროპმა ლონდონის სკოლა 14 წლის ასაკში მიატოვა და სილამაზის სალონში პარიკმახერის შეგირდად დაიწყო მუშაობა. 1960 წელს მან საკუთარი სალონი გახსნა და მის სახელს დღემდე უკავშირდება რამდენიმე სრულიად ახალი აღმოჩენა თმის ვარცხნილობებში. სწორედ ვიდალ სასუნმა შექმნა ე.წ. „ჰიპის“ ვარცხნილობა და „ბობი“. რომან პოლანსკის საქვეყნოდ ცნობილ ფილმისთვის „როზმარის ჩვილი“ ბრიტანელ პარიკმახერს 5 ათასი დოლარი გადაუხადეს მთავარი როლის შემსრულებელ მია ფეროუსთვის თმის შეჭრის სანაცვლოდ. ვიდალ სასუნი ასევე გახლდათ 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ სტილისტი. ცნობილი პარიკმახერი 84 წლის ასაკში, 2012 წელს გარდაიცვალა. მისი ქონება 150 მილიონ დოლარს შეადგენდა.

◎ ბავშვთა დაცვის დღე

თბილი, მზიანი, სიხარულის მომტანი...

1 ივნისს, რომელზეც დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზაფხულის პირველი დღე მოდის, უკლებლივ ყველა ქვეყანაში ტრადიციულად ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღეს აღნიშნავენ. ეს დღე, ცხადია, საქართველოს პატარებისთვისაც დიდი ზეიმია, რომელსაც მათთან ერთად მშობლები, ბებია-ბაბუები, საერთოდ ყველა უფროსი იზიარებს.

ისევე, როგორც წინა წლებში, მაისის ბოლო კვირის მიწურულს, ჩვენმა პატარა თანამემამულეებმა ბაგა-ბაღებში გამოსაშვები დღე იზეიმეს, გუშინ კი მათთვის ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში ათასნაირი გასართობი და სამხიარულო ღონისძიება გაიმართა. ამ მხრივ, ბუნებრივია, მოწინავეთა შორის ჩვენი საყვარელი დედაქალაქიც იყო, რომლის პარკებსა და სკვერებში ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღე დიდი ზეიმით აღინიშნა. მათ შორის, ვაკის პარკში ათასნაირ უფასო ატრაქციონთან ერთად საღამოზე მხიარული საზეიმო კონცერტი გაიმართა, ვერის ბაღში კი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ პატარებს სხვადასხვა გასართობით გაუმასპინძლდა – გამოცდილი გრიმიორები პატარებს უფასოდ სახეს, ხელებს უხატავდნენ პეპლებით, თოჯინებით, ზღაპრული პერსონაჟებით, ეროვნული დროშებით. მათ დაურიგდათ ფერად-ფერადი საჰაერო ბუშტები, პოპ-კორნი, ჩართულ შადრევანთან კი თავადაც იცეკვეს და მიკი მაუსთანაც იმღერეს...

უნდა ითქვას, რომ პატარების გულის გასახარი ასეთი ღონისძიებები თბილისის უკლებლივ ყველა რაიონში, ყველა უბანში ჩატარდა, რამაც კიდევ ერთი ბედნიერი დასამახსოვრებელი დღე შესძინა ჩვენს მომავალ თაობას.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ სად ვასწავლოთ შვილებს

2015 წლის 15 ყველაზე მოთხოვნადი სკოლა საქართველოში

წელს პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 15 მაისს დაიწყო და 9 ივნისის ჩათვლით გასტანს. თუმცა, ბევრია სკოლა, სადაც თავისუფალი ადგილები რამდენიმე წუთში შეივსო. ასეთ სკოლებში არა მხოლოდ პირველკლასელთა მიღება ჭირს, არამედ სხვა სკოლებიდან უფროსკლასელთა გადაყვანაც შეუძლებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სკოლაში გადასვლის მსურველის დედმამიშვილი უკვე აღნიშნული სკოლის მოსწავლეა, დირექტორები მისთვის თავისუფალი ადგილის გამონახვას ვერ ახერხებენ.

სკოლებზე მოთხოვნას ხშირად განათლების ხარისხზე მეტად, დაწესებულების პოპულარობა, პრესტიჟულობა და ადგილმდებარეობა განაპირობებს. როგორც მშობლების ნაწილი ამბობს, ამა თუ იმ პრესტიჟულ სკოლაში შესაძლოა, სულაც არ იყოს იდეალური საგანმანათლებლო პირობები, თუმცა, ურჩევნიათ შვილი პერიფერიის ნაცვლად, ცენტრალურ უბანში, პოპულარულ სკოლაში მიიყვანონ, სადაც მათ შვილებს მაღალი სოციალური ფენის ოჯახებთან ექნებათ ურთიერთობა.

რომელია საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი საჯარო სკოლები, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად? მშობლებს ყველაზე მეტად შვილის შეყვანა შემდეგ სკოლებში სურთ:

თბილისი:
კლასიკური გიმნაზია
1 ექსპერიმენტული
№23 საჯარო სკოლა
№24 საჯარო სკოლა
№ 51 საჯარო სკოლა
№ 52 საჯარო სკოლა (ყოფილი „ბალავარი“)
№55 საჯარო სკოლა
№ 87 საჯარო სკოლა
№161 საჯარო სკოლა
№166 საჯარო სკოლა
№175 საჯარო სკოლა

რაც შეეხება რეგიონებს, საქართველოს დიდ ქალაქებში ყველაზე მოთხოვნადია ქუთაისის №41, ზუგდიდის №2, ბათუმის პირველი, რუსთავის №24 საჯარო სკოლები.

ნატალია დადიანი

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

◎ სათრეველა

დათვის ტორის შეხსენება

უხმობ იმას, უკრავ იმას,
აწყობილი სხვათა კამერტონით,
რაც დაღუპავს უკრაინას,
გაცოფებულ თეთრი დათვის ტორით...
მაგრამ რაკი შიშველი ხარ,
„Ведь Одеса очень велика“,
ველარც „ნატო“ გიშველის და
ვერც ამერიკა!

ალექსანდრე შენგელია

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნეს-კლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

კვდება მოხუცი ებრაელი.
— ჩემი ლურჯი კოსტიუმი მოშეს მიეცი, — ეუბნება ცოლს.
— სჯობს, რომ იზიას მივცე.
— მე გეუბნები, მოშეს-მეთქი.
— მე კი იზიასთვის მინდა.
— ქალო, ვინ კვდება, შენ თუ მე?

* * *

— **რატომ** ახატია ყველა ბავშვთა საავადმყოფოს აიბოლიტი? იგი ხომ ვეტერინარია?
— ბავშვები ხომ წეროებს მოჰყავთ, წეროებს კი აიბოლიტი კურნავს.

* * *

— ეჰ, პეტკა, აი, დამთავრდება ომი და ყველგან კონსერვატორიებს ავაშენებთ. დაე, ეს დამშეული ხალხი დანაყრდეს კონსერვებით! — ეუბნება ჩაპაევი.
— არა, ვასილი ივანიჩ, კონსერვატორიებს რომ მოვრჩებით, ობსერვატორიები ავაშენოთ...

* * *

— **მე** საერთოდ არ ვსვამ ! ქორწილში თუ დავლევ...
— რა საქმიანობას ეწევი?
— თამადა ვარ.

* * *

გოგომ თუთიყუში იყიდა.
— ლაპარაკი შეგიძლია, შე სულელო? — ეკითხება.
— ლაპარაკი კი შემიძლია, მაგრამ შენ ფრენა იცი, ჩერჩეტო?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24